პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 242 (9710) | სამშაბათი, 13 ოქტომბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).
ბრძანებულებანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება. — ე. ტაკიძე. — მთელი ძალები სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებას (მე-2 გვერდი).
გ. მარტიროსიანი. — კომუნიზმისათვის მამაცი მებრძოლი (მე-2 გვერდი).
გ. მეფისაშვილი. — გაიძვერა „პრაქტიკანტი“ და დოყლაპია ხელმძღვანელები (მე-2 გვერდი).
პროფკავშირთა მესამე მსოფლიო კონგრესი (მე-3 გვერდი).
ჰოლანდიაში წყალში ჩაუშვეს დიზელ-ელექტრომაგალი „ობი“ (მე-3 გვერდი).
ჩინეთის ცენტრალური სახალხო მთავრობის პასუხი ამერიკის შეერთებული შტატების წევრობა პალიტიკურ კონფერენციის მოწვევის შესახებ (მე-4 გვერდი).
ჯოუ ენ-ლაის და იკუო ოიკეს [illegible] (მე-4 გვერდი).
ნამ ირის განცხადება (მე-4 გვერდი).
ნერუს გამოსვლა ბომბეიში (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).
ზონალური პირველობა ცხვნოსნობაში (მე-4 გვერდი).

პარჯიული მუშაობა სოფლად —ახალი ამოცანების ღონეზე

ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი ერთსულოვანი და მხურვალე მოწონებით შეხვდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს და ამ გადაწყვეტილებათა შესაბამისად პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ დადგენილებებს.

მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის დიდ ღონისძიებათა პრაქტიკულად განხორციელება დიდად არის დამოკიდებული მასებში პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაზე.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა მოითხოვა ბოლო მოვუღოთ სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობისადმი ზერელე მიდგომას, ავამაღლოთ მშრომელთა ფართო მასებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დონე, გადაჭრით აღმოვფხვრათ სოფლის პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებანი.

პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმზე, რომელიც ამას წინათ გაიმართა, აღინიშნა, რომ ბევრი ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკი ღრმად ვერ სწვდება კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკას, ხოლო პარტიის მთელი რიგი რაიკომები სუსტად მუშაობენ სოფლის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებთან. ამის შედეგად ბევრგან ჯერ კიდევ ცუდად არის დაყენებული კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური სწავლება, მრავალ კოლმეურნეობაში დაბალია მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დონე, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მშრომელთა პოლიტიკურ აღზრდას. მსგავსი ნაკლოვანებანი სხვა საოლქო და რაიონული პარტიული ორგანიზაციების მუშაობაშიც არის. მნიშვნელოვანწილად ამით აიხსნება, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ცოტა როდია ჩამორჩენილი და თავმინებებული კოლმეურნეობები, მტს-ები, საბჭოთა მეურნეობები და მთელი რაიონებიც კი. ბევრ კოლმეურნეობასა და რაიონში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალი ძალიან მცირეა, მივიწყებულია სოფლის მეურნეობის ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის დარგის განვითარება, როგორიც არის მეცხოველეობა, სერიოზულად ჩამორჩება მებოსტნეობის განვითარება.

წარმატების მისაღწევად და სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციებმა მთელი ყურადღება მიაპყრონ მთავარ ამოცანას. მთავარი ამოცანა კი ის არის, რომ უახლოეს დროში განვამტკიცოთ კოლმეურნეობები, მტს-ები და საბჭოთა მეურნეობები კვალიფიციური, უნარიანი კადრებით. ამასთან არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ ხელმძღვანელი კადრებით კოლმეურნეობათა განმტკიცების საქმე ჯერ კიდევ არასახარბიელო მდგომარეობაშია. პარტიის ბევრი რაიკომი არადამაკმაყოფილებად მუშაობს კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების შესარჩევად, რაც მათ ხშირ ცვლას იწვევს. როგორც „კომუნისტი“ წერდა, ხაშურის რაიონში ბევრია იმის მაგალითი, როცა რაიკომს კოლმეურნეობიდან კოლმეურნეობაში გადაჰყავს საქმის ჩამშლელი და აშკარად უღირსი ადამიანები და თავს ახვევს მათ კოლმეურნეებს.

სოფლის მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ძირითადი ნაკლია გაუპიროვნება, როცა კონკრეტული კოლმეურნეობის, მტს-ისა და საბჭოთა მეურნეობისათვის არავინ არ აგებს პასუხს. ხშირ შემთხვევაში ზოგიერთი მუშაკი მანქანით ჩამოივლის ხოლმე კოლმეურნეობებს და პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი საქმიან დახმარებას დეკლარაციებითა და დაპირებებით ცვლის. ამ მხრივ დამახასიათებელია სოფელ ადიგენის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მაგალითი. კოლმეურნეობა რაიონის ცენტრში მდებარეობს. მიუხედავად ასეთი სიახლოვისა, იგი მოკლებულია რაიკომის კონკრეტულ, ცოცხალ დახმარებას. კოლმეურნეობაში ჩაშლილია პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, ყურადღება არ ექცევა მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდას, დაბალია კომუნისტების აქტივობა. რამდენიმე თვის განმავლობაში პარტიულ ორგანიზაციას მდივანი არა ჰყავდა. ხშირია კოლმეურნეობის ხელმძღვანელი კადრების ცვალებადობა. იმის გამო, რომ პარტიის ადიგენის რაიკომმა ვერ შეძლო კოლმეურნეობის განმტკიცება ხელმძღვანელი კადრებით, ფერხდება საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარება, დაბალია მოსავლიანობა, საგრძნობლად შემცირდა მეცხოველეობის პროდუქტიულობაც.

პარტიის ადიგენის რაიკომის მაგალითი, სამწუხაროდ, გამონაკლისი არ არის. მთელი რიგი რაიკომები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული ორგანიზაციების მუშაობას, ხშირად ისინი თავისანაბარა ჰყავთ მიტოვებული, არ ეყრდნობიან მათ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში. ამის გამო ბევრი პირველადი პარტიული ორგანიზაცია საჭირო გავლენას ვერ ახდენს საქმის გითარებაზე კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში, ცუდად რაზმავს კოლმეურნეობათა აქტივს და მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს, ჯეროვნად ვერ აფასებს და საკმაოდ ვერ იყენებს სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში ისეთ ძალას, როგორიც არის კომკავშირული ორგანიზაციები სოფლად.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურები საკოლმეურნეო წყობილების ინდუსტრიული მატერიალურ-ტექნიკური ბაზაა. ისინი ამჟამად წარმოადგენენ გადამწყვეტ ძალას საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაში, უმნიშვნელოვანეს დასაყრდენ პუნქტებს სოციალისტური სახელმწიფოს მხრივ კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობაში. მიუხედავად ამისა, სასოფლო პარტიული ორგანიზაციები არასაკმაო ყურადღებას აქცევენ მტს-ების მუშაობას. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ პარტიის საგარეჯოს რაიკომი, რომელიც საჭირო პასუხისმგებლობას არ გრძნობს მტს-ების საქმიანობისათვის. სწორედ ამით უნდა ავხსნათ ის, რომ რაიონში არსებული მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებია.

პარტიის საოლქო კომიტეტები და რაიკომები, სოფლის პირველადი პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან გადაჭრით აღმოფხვრან არსებული ნაკლოვანებანი, აამაღლონ მშრომელთა ფართო მასებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დონე, გააუმჯობესონ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობა. აუცილებელი არაა, რომ პარტიული და საბჭოთა მუშაკები აგრონომები იყვნენ, მაგრამ ისინი მოვალენი არიან კარგად ერკვეოდნენ სოფლის მეურნეობის საკითხებში.

სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანების წარმატებით გადაჭრა მოითხოვს მასებში პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ყოველმხრივ გაძლიერებას. პარტიული ორგანიზაციები, პირველ რიგში კი სოფლის პარტიული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა ფართო მასებს და წაიყვანონ ისინი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის საბრძოლველად.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სს რესპუბლიკაში

მიენიჭოს „გმირი დედის“ საპატიო წოდება და გადაეცეს „გმირი დედის“ ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც შობეს და გაზარდეს ათი შვილი:

1. ვენეტკაიახ ოლგა მათეს ასულს — დიასახლისს, ქალაქ თბილისი.
2. გეორქიანს ტიგრან ეღუშის ასულს — დიასახლისს, ქალაქი ტყიბული.
3. გიულავათინ ყარა ყზის — ბოლნისის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
4. ტამაშა სარი ყზის — ბოლნისის რაიონის მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
5. შარიახ თათუშა ანდრიას ასულს — აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1953 წ. 3 ოქტომბერი.

ჩვენს დიად სამშობლოში

★ ★ ★

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არჩევნების წინ

22-23 ოქტომბერს გაიმართება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არჩევნები. სულ არჩეულ უნდა იქნას სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის 53 ნამდვილი წევრი და 126 წევრი-კორესპონდენტი. მეცნიერებათა აკადემიის განყოფილებებში ვაკანსიების რიცხვი განაწილებულია შემდეგნაირად: ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა განყოფილებაში არჩეულ უნდა იქნას 15 ნამდვილი წევრი და 25 წევრი-კორესპონდენტი, ქიმიის მეცნიერებათა განყოფილებაში შესაბამისად — 6 და 14, გეოლოგია-გეოგრაფიის მეცნიერებათა განყოფილებაში — 8 და 21, ბიოლოგიის მეცნიერებათა განყოფილებაში — 5 და 19, ტექნიკის მეცნიერებათა განყოფილებაში — 14 და 30, ისტორიის მეცნიერებათა განყოფილებაში — 3 და 7, ეკონომიკის, ფილოსოფიისა და სამართლის მეცნიერებათა განყოფილებაში — 2 და 7, ლიტერატურისა და ენის განყოფილებაში — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამი წევრი-კორესპონდენტი.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში დიდი მოსამზადებელი მუშაობა გაჩაღდა. აკადემიის განყოფილებებსა და ინსტიტუტებში, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის ბევრ უმაღლეს სასწავლებელში, სამეცნიერო დაწესებულებასა და ორგანიზაციაში მოეწყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრობის კანდიდატთა დასახელება. სულ 179 ვაკანტურ ადგილზე დასახელებულია 800-მდე კანდიდატი — ცოდნის სხვადასხვა დარგის ყველაზე გამოჩენილი მეცნიერები.

აკადემიის საერთო კრებაზე, რომელიც მიეძღვნება ახალი ნამდვილი წევრების არჩევას და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის იმ წევრი-კორესპონდენტების დამტკიცებას, რომლებიც განყოფილებებმა აირჩიეს, მოსმენილ იქნება სამეცნიერო მოხსენებანი საბჭოთა კავშირის მეცნიერთა უმნიშვნელოვანესი გამოკვლევების შედეგების შესახებ. (საკდესი).

წიგნები ბავშვებისათვის

წელს საბავშვო ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ბავშვებისათვის გამოსცა 250-ზე მეტი სახელწოდების მილიონობით წიგნი. მათ შორის არის კლასიკოსების, საბჭოთა ავტორების ნაწარმოებნი, მეცნიერულ-მხატვრული, მეცნიერულ-პოპულარული წიგნები და სხვ. უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის გამოცემულია სსრ კავშირის ხალხთა ზღაპრები, ლ. ტოლსტოის, ვ. კოროლენკოს, დ. მამინ-სიბირიაკის მოთხრობები.

დიდი ტირაჟებით გამოვიდა ბულგარული, კორეული, სლოვაკური ზღაპრების კრებულები, ჩინელი მწერლის ხუა-შანის მოთხრობები.

წიგნების ილუსტრაციები შესრულებულია ო. ვერეისკის, ბ. დეხტერევის, ს. ბროდსკის და სხვა მხატვრების მიერ. (საკდესი).

ახალი მასალები ა. ნ. რადიშჩევის შესახებ

მოსკოვში სახელმწიფო სალიტერატურო მუზეუმში სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მოსმენილ იქნა ინფორმაცია დიდი რუსი რევოლუციონერი მწერლის ა. ნ. რადიშჩევის სახელთან დაკავშირებული ახალი მასალების შესახებ. ეს მასალები მიღებულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან.

როგორც ცნობილია, 1767 წლის იანვრიდან 1771 წლის ოქტომბრამდე ა. ნ. რადიშჩევი სწავლობდა ლაიპციგის უნივერსიტეტში. მასთან ერთად მეცადინეობდა ათი რუსი სტუდენტი. წიგნში „თევდორე ვასილის-ძე უშაკოვის ცხოვრება“ რადიშჩევმა აგვიწერა ამ სტუდენტების ცხოვრება, მათი კონფლიქტი ზედამხედველთან — უხეშ და უმეცარ მაიორ ბოკუმთან, რომელიც დანიშნული იყო ეკატერინე II-ის მიერ. კონფლიქტის შედეგად სტუდენტები დააპატიმრეს და დაინიშნა სასამართლო გამოძიება.

ლაიპციგის უნივერსიტეტის არქივიდან მიღებულ მასალებში არის ამ საგამოძიებლო საქმის ფოტოპირი 128 ფურცელზე, მათ შორის — რადიშჩევის დაკითხვის ჩანაწერი.

ახალი მასალა ამჟამად მზადდება გამოსაქვეყნებლად. (საკდესი).

საკოლმეურნეო სოფლისათვის

ჩვენი ქვეყნის სამრეწველო საწარმოებში გაჩაღდა შეჯიბრება სოფლის მეურნეობის დაკვეთების ვადამდე შესრულებისათვის. კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებს ყოველდღე ეგზავნებათ სხვადასხვა სახოფლო-სამეურნეო მანქანები, ინვენტარი, სათადარიგო ნაწილები, მოწყობილობა და სასუქები.

8 ოქტომბერს ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხანამ ბელორუსიის, უირგიზეთის, ვოლოგდის, კიროვის, კალინინგრადის, ჩიტისა და სხვა ოლქების მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს გაუგზავნა „სტალინეც-80“ მარკის მძლავრი ტრაქტორების პარტია. ურალის ტრაქტორმშენებლები ზრდიან მანქანების, მოტორებისა და სათადარიგო ნაწილების გამოშვებას სოფლის მეურნეობისათვის.

ლიფნესაქრელი ჩარხები გაუგზავნა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს ერევნის ძერჟინსკის სახელობის ჩარხმშენებელმა ქარხანამ. ახლა საწარმო წინ უსწრებს გრაფიკს. ოქტომბრის პირველი რვა დღის დავალება ქარხანამ 127 პროცენტით შეასრულა.

კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებმა გადაწყვეტეს დახმარება გაუწიონ სამი მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მშენებლობას. დასახულია აშენდეს შემკეთებელი სახელოსნოები, ფარდულები და სხვ. დაზოგილი მასალებით ჰიდრომშენებლები დაამზადებენ ტრაქტორებისა და ავტომანქანების სათადარიგო ნაწილებს, სასათბურო ჩარჩოებს, მინდვრებზე თოლის შესაკავებელ ხის ფარებს. მშენებლობის ხის დამმუშავებელ კომბინატებში გადაწყვეტილია დამზადდეს 50 სტანდარტული სახლი ხველე ბანაკებისათვის.

ტურშასა და სუსლონგერის (მარეთის ასსრ) სადგურებიდან ყოველდღე იგზავნება ხე-ტყით დატვირთული მატარებლები. 8 ოქტომბერს მიდვიდოვოსა და სუსლონგერის სატყეო-სამრეწველო მეურნეობებმა ხე-ტყით დატვირთული მორიგი შემადგენლობა გაგზავნეს სოფლის მეურნეობისათვის. მეოთხე კვარტალში მარეთის ხე-ტყის ტრესტმა მომხმარებლებს უნდა გაუგზავნოს 9,5 ათასი ვაგონი ხე-ტყის მასალა, აქედან 65 პროცენტი გაიგზავნება სოფელ რაიონებში.

მანქანები—სოფელს

დონის როსტოვი. (საკდესი). როსტოვის ოლქის მანქანათმშენებლები, მხურვალედ იწონებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას, პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს, რომელთა მიზანია ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება, ზრდიან სოციალისტური სოფლის მეურნეობისათვის პროდუქციის გამოშვებას.

დიდი აღმავლობით შრომობს როსტოვის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივი. ჯერ კიდევ 25 სექტემბერს საწარმოს შესრულებული ჰქონდა დამბულულებლის წარმოების თვიური გეგმა. მეორე დღეს დამთავრდა სატრაქტორო ხუთკორპუსიანი გუთნების წარმოების დავალება. სოფლის მეურნეობას დამატებით მიეცა ათობით სხვადასხვა მანქანა, აგრეთვე მათი ბევრი სათადარიგო ნაწილი.

ქარხნის მიერ გამოშვებულ მანქანებში საინტერესოა სიმინდის ასაღები ახალი კომბაინი „კუ-2“. ეს მანქანა 50-ზე მეტი კაცის შრომას ასრულებს.

ბევრ მძლავრ ტრანსპორტიორს, მოსაბრუნებელ განმანაწილებელს, მარცვლეულის თვითმიმწოდებელს და სოფლის მეურნეობის სხვა რთულ მანქანებს უშვებს ნოვოჩერკასკის მექანიკური ქარხნის კოლექტივი. საწარმოს მუშაკებმა ვადამდე შეასრულეს 10 თვის გეგმა.

როსტოვის ქარხანა „კრასნი აკსაიში“ ვადამდე შესრულდა კულტივატორ „კპ-4“-ის გამოშვების წლიური დავალება. ქარხნის კოლექტივი ზრდის ჩითილსარგავი მანქანების გამოშვებას და იწყებს მცენარის საკვები კულტივატორის „კრნ-2,8“-ის წარმოებას. ამ საკიდ მანქანას ერთი ტრაქტორისტი მართავს. კულტივატორი ერთსა და იმავე დროს ამუშავებს ნიადაგს და შეაქვს ქიმიური სასუქი.

მეცხოველეობის მექანიზაციისათვის ახალ მანქანებს აკეთებენ საბჭოთა კავშირის საბჭოთა მეურნეობების მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაკები. ამ ინსტიტუტის სახელოსნოებიდან გამოვიდა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში ფართოდ გავრცელდა საზვინავი მანქანა. ახლა აქ კონსტრუირებული და გაკეთებულია ორიგინალური ქარძრავა, ექსპერიმენტული წისქვილაგრეგატი და მთელი რიგი სხვა დანადგარები.

ტაგანროგის სტალინის სახელობის ქარხნის კოლექტივმა შექმნა ახალი ბრინჯმარცვლეულის თვითმავალი კომბაინი. ამ მანქანას გადიდებული განვლადობა აქვს. კომბაინის პირველ ნიმუშებს ახლა ცდიან.

შიფერის ახალი ქარხნები

ჩვენი ქვეყნის საბინაო, სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობაში სულ უფრო ფართოდ იყენებენ მაგარ და იაფ სახურავ მასალას — შიფერს. სსრ კავშირის საშენი მასალების მრეწველობის სამინისტრო შეუდგა სახურავი შიფერისა და აზბესტ-ცემენტის წყალსადენი მილების ქარხნებისა და კომბინატების მშენებლობას.

შიფერის ახალი ქარხანა შენდება ბელგოროდში (კურსკის ოლქი). იგი წელიწადში გამოუშვებს რუხი და ფერადი შიფერის 80 მილიონზე მეტ ფილას.

სტერლიტამაკში (ბაშკირეთის ასსრ) შენდება სახურავი შიფერისა და აზბესტ-ცემენტის წყალსადენი მილების კომბინატის კორპუსები. ამ კომბინატის წლიური საწარმოო სიმძლავრე იქნება 55 მილიონი ფილა სახურავი შიფერი და 1.800 კილომეტრი მილი. კომბინატი გამოუშვებს 50-დან 960 მილიმეტრამდე დიამეტრის მილებს. ისინი განკუთვნილია სარწყავი სისტემების და ქალაქების, მუშათა დაბების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების წყალსადენთა მოსაწყობად.

სებრიაკოვში (სტალინგრადის ოლქი) საფუძველს უყრიან ტალღოვანი რუხი და ფერადი შიფერის და აზბესტ-ცემენტის მილების კომბინატს. ეს საწარმო ერთიორად მეტ პროდუქციას გამოუშვებს, ვიდრე სტერლიტამაკის კომბინატი.

ახალ ქარხნებსა და კომბინატებს ექნებათ გაუმჯობესებული წნეხები და საყალიბო აგრეგატები. (საკდესი).



1. ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოტექნიკისა და ზოოჰიგიენის ინსტიტუტის სამეცნიერო-საცდელი მეურნეობა „კრიმულდაში“ 1950 წლიდან აწარმოებენ ცდებს ახალი სახილოსე კულტურების — მიწავაშლას, ბალბის, ჩუმიძას და საკვები კომბოსტოს მოსაყვანად. კარგი შედეგებია მიღებული მიწავაშლას მოყვანაში. ეს კულტურა მიღებულია ჰექტარზე 800 ცენტნერი, ხოლო მიწავაშლას და მზესუმზირას ჰიბრიდის მოსავალმა ჰექტარზე 100 ცენტნერს გადააჭარბა. სურათზე: აგრონომი კ. პეტერსონი (მარცხნივ) და უფროსი ლაბორანტი ვ. სტედისი მიწავაშლას და მზესუმზირას ჰიბრიდის საცდელ ნაკვეთზე. 2. ნოვოსიბირსკი. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს საინსტრუმენტო ქარხანამ სექტემბრის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. ამჟამად ქარხანაში აფართოებენ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისათვის სხვადასხვა ინსტრუმენტისა და ავტომენზოცისტერნების წარმოებას. სურათზე: მზა ავტომენზოცისტერნები ქარხნის ეზოში მტს-ებში გაგზავნის წინ.

ფოტო ე. ეასენოვისა და ვ. ლეშჩინსკისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

აკადემიკოს ა. ვ. ვინტერის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ენერგეტიკის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდათხუთმეტ წლისთავთან დაკავშირებით აკადემიკოსი ალექსანდრე ვასილის-ძე ვინტერი დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი.
1953 წ. 9 ოქტომბერი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ჩკალოვის ოლქის ბელოზერსკის მტს-ის კომბაინერის პ. ვ. ნექტოვისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

შრომაში გმირობისათვის, რაც გამოიჩინა ბელოზერსკის მტს-ის კომბაინერმა პროკოფი ვასილის-ძე ნექტოვმა, რომელმაც მთელი რიგი წლების განმავლობაში მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია მარცვლეული კულტურების მოსავლის აღებასა და გალეწვაში, მიუხედავად იმისა, რომ დიდი სამამულო ომის წლებში სამშობლოს დაცვის დროს მძიმე ჭრილობასთან დაკავშირებით მას დაკარგული აქვს ორივე ფეხი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

ადგენს:

მიენიჭოს პროკოფი ვასილის-ძე ნექტოვს სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი.
1953 წ. 10 ოქტომბერი.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

ნინ ვაგონი კონსერვი

გორი. (საკ. კორ.). აქედან თითქმის ყოველდღე გადის კონსერვით დატვირთულ ვაგონები. გორული კონსერვი იგზავნება ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხეში. მარტო სექტემბერში გორის საკონსერვო ქარხანამ მოსკოვსა და ლენინგრადში, აგრეთვე ვლადივოსტოკში, მურმანსკში და სხვ. გაგზავნა 56 ვაგონი კონსერვი.

ამ დღეებში ახალი შრომითი აღმავლობაა საკონსერვო ქარხანაში. გორელი მეკონსერვეები გაორკეცებული ენერგიით მუშაობენ საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით აღებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის. სექტემბერში თვიური გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 50 ათასზე მეტი ქილა კონსერვი. ამასთან მნიშვნელოვანი რაოდენობით დაზოგილია ნედლეული და შემცირებულია ქილა კონსერვის დამზადების თვითღირებულება.

ქარხნის კოლექტივი იბრძვის იმისათვის, რომ ოქტომბერში გეგმის გადამეტებით გამოუშვას სულ მცირე 60 ათასი ქილა კონსერვი.

აბრეშუმის ქაფი გეგმის გადამეტებით

სამტრედია. (საკ. კორ.). მაღალნაყოფიერად იმუშავა სამტრედიის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკის კოლექტივმა სექტემბერში. აქ თვიური გეგმის გადამეტებით 466 კილოგრამი ხამი აბრეშუმის ძაფი ამოახვიეს. დაზოგეს ნედლეული — 43 კილოგრამი პარკი.

საოქტომბრო შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში დაწინაურდა მეორე ცვლის ის ბრიგადა, რომელსაც კომკავშირელი რ. სარდადიშვილი ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ სექტემბერში გეგმის გადამეტებით 32 კილოგრამი ხამი აბრეშუმის ძაფი ამოახვია. სტახანოველმა მუშებმა რუსუდან ანდღულაძემ, თინა ზაქარეიშვილმა, თალიკო ხუჭუამ და სხვებმა დავალება 104-107 პროცენტით შეასრულეს.

ჭიათურელ მექანიზატორთა წარმატება

ჭიათურა. (საკ. კორ.). ჭიათურის მტს-ის კოლექტივმა, რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია სიჩხერისა და მაიაკოვსკის მექანიზატორებთან, 1 ოქტომბრისათვის რბილ ხვნაზე გადაყვანით მოხნა 5.125 ჰექტარი და გადაჭარბებით შეასრულა წლიური გეგმა. ამავე დროს სამ ტონამდე საწვავი დაზოგა.

მტს-ი დაეხმარა მეზობელი — ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეობებს ყამირი მიწის მოხვნასა და ჩირგვნარის ამოძირკვაში.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი იმ სატრაქტორო ბრიგადებმა, რომლებსაც გ. ჯაფარიძე და გ. შეყილაძე ხელმძღვანელობენ.

ჭიათურელ მექანიზატორთა ვალდებულებაა წელს გეგმის გადამეტებით მოხნან 1.050 ჰექტარი ფართობი და ახალი საწარმოო გამარჯვებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 36-ე წლისთავს.

პარტიული ცხოვრება

მთელი ძალები სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებას

ე. ტაკიძე,
საქართველოს კომუნისტური პარტიის ლანჩხუთის რაიკომის მდივანი.

ჩვენი რაიონის კოლმეურნეები, სოფლის მეურნეობის მუშაკები, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი, უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებას „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ და ამ გადაწყვეტილებიდან გამომდინარე პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს.

საქმე დაიწყო სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა და ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების პროპაგანდით. სოფლად ამჟამად ამ გადაუდებელ საშუშაოს 500-ზე მეტი აგიტატორი და პროპაგანდისტი ეწევა.

ლანჩხუთი ძირითადად სუბტროპიკული კულტურების რაიონია, მაგრამ მის ეკონომიკაში დიდი ადგილი უჭირავს მემინდვრეობასა და საზოგადოებრივ მეცხოველეობასაც. უკანასკნელ წლებში მიღწეულია ჩაის მოსავლიანობის მნიშვნელოვანი ზრდა. თუ 1941 წელს თვითეული ჰექტარი სრულმოსავლიანი ჩაის პლანტაციიდან მიღებული იყო 1.400 კილოგრამი ფოთოლი, მიმდინარე წელს უკვე მიღებულია 2.770 კილოგრამი.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოები ჯეროვანი ყურადღებითა და გულისხმიერებით არ ეკიდებოდნენ სოფლის მეურნეობის ისეთი დიდმნიშვნელოვანი დარგების განვითარებას, როგორიც არის მემინდვრეობა და მეცხოველეობა. ამის გამო კოლმეურნეობები წლების განმავლობაში ვერ ასრულებდნენ სიმინდის მოსავლიანობის გეგმას.

სოფლის მეურნეობის სპეციალისტებსა და მოწინავე კოლმეურნეებთან მოთათბირებისა და მოწინავე გამოცდილების გათვალისწინების საფუძველზე დაისახა სიმინდის მოსავლიანობის გადიდების პრაქტიკული ღონისძიებანი.

წელს რაიონის კოლმეურნეობებში 7.000 ჰექტარამდე სიმინდისა და სოიის ნათესებია. ყველა კოლმეურნეობამ უზრუნველყო ნათესების ორჯერ გათოხნა, ხოლო 422 ჰექტარი გაითოხნა სამჯერ. ათას ჰექტარზე მეტ ფართობზე სიმინდი დათესილ იქნა მწკრივად, რამაც შემდეგში გააადვილა ნათესების დამუშავება, შექმნა მექანიზაციის ფართოდ გამოყენების საშუალება. მოსავალს კარგი პირი უჭირს. მიღებულია ზომები მისი უდანაკარგოდ აღების, დაბინავებისა და შრომადღეებზე განაწილებისათვის.

სიმინდის, სოიისა და ლობიოს მოსავლიანობის გასაადიდებლად, მყარი მოსავლის მოსაყვანად რაიონში ბევრი გამოუყენებელი რეზერვია. პარტიის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი სოფლის მეურნეობის სპეციალისტებთან და მოწინავე კოლმეურნეებთან ერთად სწავლობენ ამ რეზერვებს.

კოლმეურნეობათა ეკონომიკაში დიდი ხვედრითი წონა აქვს საზოგადოებრივ მეცხოველეობას. მართალია, გადაჭარბებით სრულდება პირუტყვის სულადობის სახელმწიფო გეგმა, მაგრამ სამარცხვინოდ ჩამორჩება მეცხოველეობის პროდუქტიულობა. 1 სექტემბრისათვის თვითეულ საფურაეე ძროხაზე 820 ლიტრის ნაცვლად მიღებულია მხოლოდ 285 ლიტრი რძე. მეცხოველეობის დაბალი პროდუქტიულობის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ პირუტყვი უზრუნველყოფილი არ არის ხარისხოვანი საკვებითა და კეთილმოწყობილი ბინებით. უკანასკნელი 3-4 წლის მანძილზე აშენდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის 93 სათავსო, 27 საღორე, ამდენივე საქათმე და სხვა, რაც არ არის საკმარისი. პლენუმის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად ამჟამად ვსახავთ ღონისძიებებს იმ ანგარიშით, რომ მთელი საზოგადოებრივი პირუტყვი მოთავსებულ იქნას ფართო, ნათელ და კეთილმოწყობილ ბინებში, შევქმნათ მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზა, წელს უნდა დამზადდეს 22.500 ცენტნერი უხეში საკვები და 3.800 ტონა სილოსი. უკვე აღებული და დაბინავებულია 3.039 ცენტნერი თივა, ჩადებულია 3.701 ტონა სილოსი, კოლმეურნეობებში შექმნილია საკვებმომპოვებელი ბრიგადები. შეიძლება ითქვას, რომ წელს მთლიანად დავაკმაყოფილებთ საზოგადოებრივ პირუტყვს საუკეთესო ხარისხის საკვებით.

სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია მტს-ების მუშაობის გაუმჯობესებაზე. რაიონის მტს-ი მომსახურებას უწევს 27 კოლმეურნეობას. იზრდება კოლმეურნეობებში მექანიზმებით შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა, მცირდება შესრულებულ სამუშაოთა თვითღირებულება. 1945 წელთან შედარებით სამჯერ და უფრო მეტად გაიზარდა ტრაქტორების დატვირთვა, ამასთან ერთად ჰექტარი ფართობის დამუშავების ღირებულება 132 მანეთიდან შემცირდა 32 მანეთამდე.

მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მტს-ის მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებები არ იყოს. მტს-ის წილად მოდის რაიონის კოლმეურნეობებში შესრულებულ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მხოლოდ 20 პროცენტი. პარტიის რაიკომი საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებთან ერთად ახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია კოლმეურნეობებში ძირითად შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის განხორციელება. ამ საქმის მოგვარებაში აუცილებელია რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების დახმარებაც. ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებში საჭიროა მისასვლელი გზების მშენებლობა. ლანჩხუთის მტს-ი ერთი ბულდოზერით, ცხადია, ამას ვერ უზრუნველყოფს. იმის გამო, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრო ვერ უზრუნველყოფს მტს-ის მომარაგებას სათადარიგო ნაწილებით, შეუძლებელია დაენერგოთ ტრაქტორების რემონტი კვანძური მეთოდით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მტს-ს არა აქვს სტანდარტული სახელოსნო, გარაჟი ავტომანქანებისათვის, ფარდულები, ადმინისტრაციული და საცხოვრებელი სახლები. ეს სერიოზული ნაკლოვანებანი იმითაც არის გამოწვეული, რომ პარტიის რაიონული კომიტეტი ქმედითს ზომებს არ იღებდა ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და ურიგდებოდა მათ.

კოლმეურნეობათა წინაშე ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის მიერ დასმული ამოცანების წარმატებით გადაჭრა წარმოუდგენელია ისე, თუ სოფლად პარტიული ორგანიზაციების მთელ საქმიანობას მკვეთრად არ გავაუმჯობესებთ. ამოცანა ის არის, რომ ყოველმხრივ გავაძლიერთოთ მტს-ისა და კოლმეურნეობათა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა, გავზარდოთ მათი პასუხისმგებლობა მტს-ისა და კოლმეურნეობების მდგომარეობისათვის.

საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციები ახლა გაცილებით უკეთესად, უნარიანად მუშაობენ, სწორად ახამებენ სამეურნეო საქმიანობას პარტიულ-პოლიტიკურ და პარტიულ-ორგანიზაციულ მუშაობასთან. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ გვიმბალაურის მოლოტოვის სახელობის, ზუმო ჩიბათის მალენკოვის სახელობისა და ქვემო ჩიბათის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობათა პირველადი პარტიული ორგანიზაციები. აქ პარტიული მუშაობის გაძლიერებამ უზრუნველყო ამ კოლმეურნეობათა დაწინაურება.

მაგრამ ასე როდი მუშაობს რაიონის ყველა პირველადი საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია. სოფელ ლაშისელის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობა თითქმის ყველა სახის სამუშაოებში ჩამორჩენილია. პარტიულ ორგანიზაციას (მდივანი კ. ხუხუნაიშვილი) არ შეუსწავლია კოლმეურნეობის ჩამორჩენის მიზეზები, არ დაურაზმავს კოლმეურნეები ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ამჟამად რაიონის პარტიული ორგანიზაციები მთელ თავიანთ მუშაობას იქითკენ წარმართავენ, რომ თვითეულ კოლმეურნეს, მექანიზატორსა და სოფლის მეურნეობის თვითეულ მუშაკს გააცნონ და ღრმად შეასწავლონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილება, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება, პარტიისა და მთავრობის ის დადგენილებები, რომლებიც ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს, დარაზმონ რაიონის მშრომელები პარტიისა და მთავრობის დირექტივების პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

პირველი ქუთაისური ექსკავატორი

ქუთაისი. (საკ. კორ.). სამთამადნო მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა ამას წინათ დაამთავრა თავისი ახალი პროდუქციის — ექსკავატორის პირველი ეგზემპლარის აწყობა და გამოშვება. ექსკავატორის საწარმოო ვითარებაში გამოცდამ კარგი შედეგები მოგვცა. გადაწყვეტილია ამ ახალი ქუთაისური მარკის („ე-258“) ექსკავატორების სერიულ გამოშვებაზე გადასვლა.

ქარხნის კოლექტივმა ამოცანად დაისახა მიწისსათხრელი ახალი მექანიზმების — ქუთაისური ექსკავატორების სერიული გამოშვების საქმე მოაგვაროს უახლოეს დროში.

სურათზე: „ე-258“ მარკის ქუთაისური ექსკავატორი.

ფოტო პ. ლუცენკოსი.

გეჭდვითი სიტყვის კომბინატს — მესამე საკავშირო პრემია

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს პოლიგრაფიული მრეწველობის, გამომცემლობისა და წიგნის ვაჭრობის მთავარი სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში მიიღეს ცნობა, რომ წელს, მეორე კვარტალის მუშაობის შედეგების შეჯამებისას სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ და საკავშირო პროფსაბჭომ საუკეთესო მაჩვენებლებისათვის ამ კომბინატის კოლექტივს მიაკუთვნეს მესამე ადგილი და პრემია 16.875 მანეთი.

ამ ცნობის მიღებამ ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის მუშაკთა შრომითი ახალი აღმავლობა გამოიწვია.

დიდი შემოსავალი ჩაით

ტყიბული. (საკ. კორ.). ჩაის პლანტაციები კოლმეურნეობებს დიდ შემოსავალს აძლევს. სოფელ ცუცხვათის კოლმეურნეობამ სახელმწიფოს რამდენიმე ათასი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი ჩაბარა. ამით თავისი ფულადი შემოსავალი 1.750 ათასი მანეთით გაზარდა. მეჩაიეობით მილიონნახევარ მანეთზე მეტი შემოსავალი მიიღეს კოკის, სოჩხეთის, კურსების, ბუეთისა და ჯვარისის კოლმეურნეობებმა.

გაიძვერა „პრაქტიკანტი“ და დოყლაპია ხელმძღვანელები

— ცდა ბედის მონახევრეაო, — გაივლო გულში ოთარ ლოლაძემ და მისთვის ჩვეული ყალბი თავაზიანობის გამომხატველი ჟესტებით შეაღო რკინიგზის წყალტუბოს სადგურის უფროსის კაბინეტის კარი.

მამია ჭანუყვაძემ თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა მისული, თითქოს ცდილობდა წინასწარ გაეგო მისი პიროვნება და მცირეოდენი პაუზის შემდეგ მოკლედ მიმართა:

— რა გნებავთ, ყმაწვილო!

— თქვენი სიცოცხლე და დღეგრძელობა,—მიეთილისმა ჭაბუკი. — თქვენთან მუშაობის სურვილი მაქვს. საშუალო განათლებით ვარ. შემირჩიეთ რაიმე შესაფერი სამუშაო.

ახალგაზრდის ენაწყლიანობით მოხიბლულმა სადგურის უფროსმა მაშინვე დაიწყო ფიქრი — სად შეეძლო მისი გამოყენება.

— დამსვენებლებისაგან სამგზავრო ბილეთების წინასწარი შეკვეთების მისაღებად თუ შეგიძლიათ იმუშაოთ?

— სწორედ საჩემო საქმეა, პატივცემულო უფროსო, არ შეგარცხვენთ, შეასანშნავად ვიმუშავებ, — სიტყვა მისცა უკვე თავის ხელმძღვანელს ო. ლოლაძემ და დაბლა დაუკრა თავი. ტკბილი სიტყვით ნასიამოვნები პატივმოყვარე, გულუბრყვილო ხელმძღვანელი თვითონვე წაჰყვა უცნობს კურორტის საბილეთო სალაროში.

— ამხანაგო არაშინიძე, — მიმართა მან მოლარეს, — თქვენთან აიყვანთ ამ ყმაწვილს პრაქტიკაზე, ყველაფერი შეასწავლეთ, რაც საჭიროა, და შემდეგ ვნახოთ.

გამიმართლდა, ვრც ცნობა რამ მოუთხოვიათ, არც დოკუმენტი, წარმოიდგინე, არც პასპორტი, — მოზღვავებული სიხარულით იმეორებდა ო. ლოლაძე თავის გულში და მომავალ გეგმებს აწყობდა.

მიმდინარე წლის 25 აპრილიდან დაიწყო ოთარ ლოლაძის „მოღვაწეობა“ წყალტუბოში. იგი ყოველდღე დადიოდა სანატორიუმებში, სასტუმრო „თბილისში“, უკავშირდებოდა დამსვენებლებს და დათაფლული სიტყვებით აღუთქვამდა, მათ, ბილეთის „წინასწარ აღებას“ თანადგომას, ბილეთს „წინასწარ გამორთმევით. ვინ შეიტანდა მასში ეჭვს — ის ხომ კურორტის საბილეთო სალაროს ოფიციალურ წარმომადგენლად იყო მიჩნეული.

12 მაისს, ე. ი. ოთარის „მოღვაწეობის“ დაწყებიდან 17 დღის შემდეგ, მ. ჭანუყვაძე სხვაგან გადაიყვანეს სამუშაოდ. ოთარს გულს შემოეყარა: იფიქრა, ვაი თუ ახალმა უფროსმა გასინჯოს ჩემი დოკუმენტები და საერთოდ კრიტიკულად მოეკიდოს ჩემს მუშაობასო. მაგრამ პირიქით მოხდა — ბ. გეთიამ გადაეჭარბა დოყლაპიობაში თავის კოლეგას. მან ამიერკავკასიის რკინიგზის სამგზავრო სამსახურის უფროსის წინაშე შუამდგომლობაც კი აღძრა ო. ლოლაძის შტატში აყვანის შესახებ, თუმცა არ დაინტერესებულა გაეგო, ვის უწევდა რეკომენდაციას.

და აი ო. ლოლაძეს კიდევ უფრო ფართო გზა მიეცა თავისი ბნელი ზრახვებისათვის.

— ძვირფასო მეგობრებო,—მოკრძალებული ტონით მიმართავდა იგი დამსვენებლებს, — მიბოძეთ თანხა და ბილეთს თქვენი სასურველი რიცხვისათვის რამდენიმე დღით ადრე მოგართმევთ.

ამ ფრაზას იგი დღეში მრავალჯერ იმეორებდა, ფულს წინასწარ იღებდა დამსვენებლებისაგან... ერთ დღეს იგი იმდენად გათავხედდა, რომ კურორტის ბაღში მოთავსებულ საბილეთო სალაროს ფილიალში ათობით დამსვენებლისაგან დიდძალი თანხა აკრიფა.

17 ივლისი არასოდეს დაავიწყდებათ რკინიგზის წყალტუბოს სადგურში. ო. ლოლაძე უკვალოდ გაქრა და თან გაიტაცა დამსვენებლებისგან აკრეფილი 11.973 მანეთი.

აქეთ ეცნენ, იქეთ ეცნენ, მაგრამ ბოროტმოქმედის კვალი ვერსად იპოვნეს. მის შესახებ არავითარი დოკუმენტი არ ჩანდა.

გვიანღა იყო დოყლაპია ხელმძღვანელთა „თითზე კბენანი“.

გ. მეფისაშვილი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„კაზიონური დამოკიდებულება კეთილშობილური საქმისადმი“

„კომუნისტის“ 2 სექტემბრის ნომერში რუბრიკით „საგაზეთო თემაზე“ დაიბეჭდა წერილი „კაზიონური დამოკიდებულება კეთილშობილური საქმისადმი“. წერილში გაკრიტიკებული იყო მახარაძის რაიონული გაზეთის „ლენინის დროშის“ და ბათუმის რაიონული გაზეთის „კოლმეურნის გზის“ რედაქციები, რომლებიც კაზიონურად ეკიდებოდნენ ხალხთა მეგობრობის კეთილშობილური თემის გაშუქებას.

როგორც საქართველოს კომუნისტური პარტიის მახარაძის რაიკომის მდივანი ამხ. შ. ჭანუყვაძე გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. განიხილა რა „კომუნისტში“ მოთავსებული წერილი, პარტიის რაიკომის ბიურომ გაზეთ „ლენინის დროშის“ რედაქციას დაუსახა ლონისძიებანი პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა შორის მეგობრობის იდეების პროპაგანდის გასაძლიერებლად.

წერილი „კაზიონური დამოკიდებულება კეთილშობილური საქმისადმი“ განიხილა აგრეთვე საქართველოს კომუნისტური პარტიის ბათუმის რაიკომის ბიურომ. დადასტურებულად ცნო წერილში მოყვანილი ფაქტები, რისთვისაც რაიკომის ბიურომ მიუთითა გაზეთ „კოლმეურნის გზის“ რედაქტორის ამხ. გ. ჭანუყვაძეს. „კოლმეურნის გზის“ რედაქციას დაევალა სისტემატურად გაამუქოს ქართველ და უკრაინელ კოლმეურნეთა შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა.

კომუნიზმისათვის მამაცი მებრძოლი

ს. გ. შაუმიანის დაბადების 75 წლისთავი

1953 წლის 13 ოქტომბერს 75 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც დაიბადა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწე, დიდი ლენინის ერთგული მოწაფე და უახლოესი თანამებრძოლი სტეფანე გიორგის-ძე შაუმიანი.

სტეფანე შაუმიანმა რევოლუციონერისა და მებრძოლის შესანიშნავი გზა განვლო. ჭაბუკობაშივე, როცა ჯერ კიდევ თბილისის რეალური სასწავლებლის მოსწავლე იყო, იგი უახლოეს მონაწილეობას იღებდა მოსწავლეთა არალეგალურ ორგანიზაციებში, რედაქტორობდა გაზეთ „რაღუგას“, რომელსაც მოსწავლეთა წრე უშვებდა.

ახალგაზრდა რევოლუციონერის მსოფლმხედველობა ყალიბდებოდა XX საუკუნის დამდეგს რუსეთში მოახლოებული რევოლუციური ქარიშხლის ვითარებაში, არალეგალური რევოლუციური ლიტერატურის — მარქსის, ენგელსის, ლენინის ნაწარმოებთა გავლენით. 1900 წელს შაუმიანი შევიდა რსდმპ რიგებში.

რიგის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც ს. გ. შაუმიანი რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ შევიდა, მან აქტიური მუშაობა დაიწყო სოციალ-დემოკრატიულ წრეებში. 1902 წელს იგი ინსტიტუტიდან გარიცხეს რევოლუციური მუშაობისათვის და კავკასიაში გადაასახლეს. კავკასიიდან შაუმიანი მალე გაემგზავრა გერმანიაში და შევიდა ბერლინის უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტის პოლიტიკურ განყოფილებაზე. 1903 წელს ს. გ. შაუმიანი პირველად შეხვდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს ჟენევაში. ამ შეხვედრამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზრდა რევოლუციონერზე. იგი სამუდამოდ დაადგა ბოლშევიკურ გზას, ლენინიზმის პოზიციას და მისი ერთგული იყო სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე.

უცხოეთიდან თბილისს დაბრუნების შემდეგ ს. გ. შაუმიანმა მთელი ძალღონით დაიწყო რევოლუციური ბრძოლა. იგი შეყვანილ იქნა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის შემადგენლობაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ი. ბ. სტალინი, და აქტიური მოღვაწეობა გაგრძელდა. ამასთან მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ერთა გამოყოფის უფლების დაცვას აუცილებლად როდი მივყავართ სეპარატიზმის პოზიციამდე, აუცილებელი გამოყოფის მოთხოვნამდე.

ერთა თვითგამორკვევის უფლებასთან ერთად შაუმიანი იცავდა ერთიანულ საკითხში პარტიის პროგრამის მეორე უმნიშვნელოვანეს მოთხოვნასაც — პროლეტარიატის კლასობრივი ორგანიზაციების ინტერნაციონალური აგების პრინციპს.

პირველი მსოფლიო ომის წინ შაუმიანი სათავეში ჩაუდგა ბაქოს ბოლშევიკების ორგანიზაციას. ომის პერიოდში იგი ენერგიულად იცავდა ლენინის ლოზუნგს იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის შესახებ, ამასთან გმობდა საერთაშორისო და რუსი სოციალ-შოვინისტების საზიზღარ გამცემლობას.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ს. გ. შაუმიანი, რომელიც გადასახლებიდან ბაქოში ბრუნდებოდა, ბაქოს პროლეტარიატმა დაუსწრებლად აირჩია მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარედ. ბაქოში რომ ჩამოვიდა, მან აზიზბეკოვთან, ჯაფარიძესთან, ფიოლეტოვსა და ბოლშევიკური ორგანიზაციის სხვა ხელმძღვანელებთან ერთად გააჩაღა ბრძოლა საბჭოებში უმრავლესობის მოსაპოვებლად, საბჭოების ხელში მთელი ძალაუფლების გადასაცემად. VI ყრილობაზე ს. შაუმიანი არჩეულ იქნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ შაუმიანმა და მისმა თანამებრძოლებმა გაიჩაღეს ბრძოლა ამიერკავკასიის ერთიანობისათვის სოციალისტურ რუსეთთან, ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცებისათვის. 1917 წლის დეკემბერში საბჭოთა მთავრობამ ვ. ი. ლენინის მონაწილეობით განიხილა ამიერკავკასიაში არსებული მდგომარეობის საკითხი და ამასთან დაკავშირებით გამოიცა ლენინისა და სტალინის მიერ ხელმოწერილი დეკრეტი კავკასიის საქმეთა დროებით საგანგებო კომისრად შაუმიანის დანიშვნის შესახებ.

1918 წლის მარტში რეაქციულმა ძალებმა, რომლებსაც მხარი დაუჭირეს იმპერიალისტებმა, მოაწყეს აჯანყება ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით. ბაქოს მშრომელებმა ულმობლად ჩაახშეს კონტრრევოლუციის ეს გამოხდომა. ძალაუფლება ბაქოსა და მის რაიონებში მთლიანად გადავიდა ბაქოს საბჭოს ხელში. შეიქმნა სახალხო კომისართა საბჭო შაუმიანის, ჯაფარიძის, აზიზბეკოვის, ფიოლეტოვისა და სხვების მეთაურობით. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს სტეფანე გიორგის-ძე შაუმიანი.

ხელმძღვანელობდა რა რევოლუციურ მოძრაობას, რომელიც მთელ ამიერკავკასიას მოედო, შაუმიანი ცდილობდა ყოველი ღონისძიებით განემტკიცებინა მშრომელთა ინტერნაციონალური ერთიანობა, მათი კავშირი რუსეთის გმირ პროლეტარიატთან. ამხილებდა რა დაშნაკების, მუსავატელებისა და მენშევიკების ნაციონალისტურ დამღუპველ პოლიტიკას, შაუმიანი გმობდა მათს უთვისტომო კოსმოპოლიტიზმს, ცხადყოფდა, რომ მათი გეგმა „ინგლისელთა მოწვევისა“ კავკასიისა და მთელი რუსეთის მშრომელთა ინტერესების ღალატის გეგმა იყო.

მტკიცე და გადამწყვეტი პოლიტიკა ბაქოს სახალხო კომისართა საბჭოსი, რომელსაც შაუმიანი ხელმძღვანელობდა, მოიწონა და მხარი დაუჭირა დიდმა ლენინმა.

გმირული იყო ბაქოელ მშრომელთა ბრძოლა უცხოელი ინტერვენტებისა და მათი საზიზღარი აგენტურის წინააღმდეგ. მაგრამ ოკუპანტების მნიშვნელოვნად ჭარბი ძალების გავლენით, კონტრრევოლუციური ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების ღალატის შედეგად საბჭოთა ხელისუფლება ბაქოში 1918 წლის აგვისტოში დროებით დაეცა.

1918 წლის 20 სექტემბერს სტეფანე შაუმიანი და მისი 25 მებრძოლი ამხანაგი, რომლებიც ხელთ იგდეს მტრებმა, ფარულად და საზიზღრად დახოცეს ინგლისელმა იმპერიალისტებმა და მათმა ესერ-მენშევიკმა დამჭაშებმა.

მილიონობით საბჭოთა ადამიანი ინახავს კომუნიზმისათვის მამაცი მებრძოლის — სტეფანე შაუმიანის ხსოვნას.

გ. მარტიროსიანი,
სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი.



პროფკავშირთა მესამე მსოფლიო კონგრესი

კონგრესის გახსნა

ვენა, 10 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს აქ „კონცერტ-ჰაუზის“ შენობაში გაიხსნა პროფკავშირთა III მსოფლიო კონგრესი. კონგრესი გახსნა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარემ ჯუზეპე დი ვიტორიომ.

ჩვენი დიდი კონგრესის მსგავსი რამ, თქვა დი ვიტორიომ, საერთაშორისო პროფკავშირული მოძრაობის ისტორიაში არ ყოფილა. ეს კონგრესი გაიხსნა, როგორც ძმებისათვის, ყველა წარმომადგენლის — დელეგატისათვის, მეთვალყურისა თუ სტუმრისათვის, მსოფლიოს ყველა პროფკავშირული ორგანიზაციისათვის, მიუხედავად მათი ორიენტაციისა.

ყველა მათგანს თანაბარი უფლება აქვს თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი და კონგრესის განსახილველად წარადგინოს თავისი წინადადებანი, რათა საერთო თანხმობით განისაზღვროს და დაზუსტდეს, თუ რა ამოცანები დგას ყველა ქვეყნის პროფკავშირული მოძრაობის წინაშე, რათა გაუმჯობესდეს მშრომელების — გონებრივი და ფიზიკური შრომის წარმომადგენლების ბედი, რათა განვითარდეს სოციალური პროგრესი მთელ მსოფლიოში, განმტკიცდეს მშრომელთა ძმური სოლიდარობა, მეგობრობა და მშვიდობა ყველა ქვეყნის მშრომელებს შორის.

ჩვენი პროფკავშირთა III მსოფლიო კონგრესის მეორე დამახასიათებელი თავისებურება ის არის, რომ, პროფკავშირული ორგანიზაციების მიერ არჩეული დელეგატების გარდა, ჩვენს შორის მნიშვნელოვანი რაოდენობით არიან დელეგატები, რომლებიც თვით მშრომელმა მასებმა უშუალოდ აირჩიეს ქარხნებში, სოფლებსა და დაწესებულებებში. დღემდე საერთაშორისო პროფკავშირულ კონგრესში ჯერ არასოდეს არ მიუღიათ მონაწილეობა ქვემოდან არჩეულ მუშებსა და მოსამსახურეებს. ამრიგად, ჩვენი კონგრესი ყველა წინანდელი კონგრესისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი გაერთიანებული და მასობრივი კონგრესია.

ჩვენი კონგრესის ხასიათი მოწმობს, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია უსაზღვრო ნდობით სარგებლობს მშრომელ მასებში, რომ მშრომელ მასებს სწამთ, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია ურყევად იცავს საერთაშორისო მუშათა კლასის ერთიანობის, თვითეულ ქვეყანასა და მთელ მსოფლიოში პროფკავშირული ერთიანობის პრინციპებს, ყველა მშრომელთა მოქმედების ერთიანობის პრინციპებს მათი ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, მათი პროფკავშირული უფლებებისათვის, მათი დემოკრატიული თავისუფლებებისათვის ბრძოლაში, ყველა ხალხის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლაში.

დი ვიტორიომ აღნიშნა, რომ ამჟამად პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციაში ირიცხება 80 მილიონზე მეტი წევრი — ყველა კონტინენტის მშრომელნი. ხოლო რადგან, თქვა მან, კონგრესში მონაწილეობენ მრავალი ისეთი პროფკავშირული ორგანიზაციების დელეგატები და მეთვალყურენი, რომლებიც პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციაში არ შედიან, შრომის ეს დიდი საერთაშორისო სხდომა ყველა პროფესიისა და ყველა მიმართულების 85 მილიონამდე მშრომელის წარმომადგენელია.

მიესალმა რა ყველა მშრომელსა და აქტივისტ მუშას, რომლებიც დევნას განიცდიან თავისუფლებისა და მშვიდობის საქმისადმი ერთგულებისათვის, დი ვიტორიომ განაცხადა:

ჩვენ მოვითხოვთ გაათავისუფლონ ჩვენი ამხანაგი ხესუს ფარია — ვენესუელის ნავთობის მრეწველობის მშრომელთა ხელმძღვანელი, რომელიც უკვე ოთხ წელზე მეტია უმძიმეს პირობებში იტანჯება საპყრობილეში. ჩვენ მოვითხოვთ გაათავისუფლონ ყველა პროფკავშირული მოღვაწე, რომლებიც საპყრობილეში ჩაყარა იმპერიალისტურმა რეაქციამ.

ჩვენი კონგრესის საპატიო ამოცანა— მისი ისტორიული ამოცანა, თქვა შემდეგ ორატორმა, ის არის, რომ დასახოს კეთილდღეობისა და მშვიდობისათვის მთელი მსოფლიოს მშრომელი მასების ერთიანი ბრძოლის უმაღლეს საფეხურზე გადასვლის გზა.

ჩვენი კონგრესი მიმდინარეობს მუშათა კლასის ერთიანობის, ყველა მშრომელთა ერთიანობის ლოზუნგით, ისე რომ არ არის არავითარი დისკრიმინაცია.

ჩვენ მივმართავთ ყველა ქვეყნის, ყველა ორგანიზაციის, ყველა მიმართულების მშრომელთ, მეგობრულ ხელს ვუწვდით მათ და ვეუბნებით:

ძმებო, ჩვენი ინტერესები სოლიდარულია, ჩვენ საერთო ბედი გვაქვს. მაშ გავერთიანდეთ და ყველანი ერთად შევძლებთ შევცვალოთ მდგომარეობა თვითეულ ქვეყანასა და მთელ მსოფლიოში, შევძლებთ მოვიპოვოთ ცხოვრებისა და შრომის უკეთესი პირობები, შევძლებთ შევინარჩუნოთ მშვიდობა და კეთილდღეობის, სოციალური სამართლიანობისა და კაცობრიობის ცივილიზაციის უფრო მაღალი დონის გზით წავიყვანოთ მთელი საზოგადოება.

შემდეგ არჩეულ იქნა კონგრესის პრეზიდიუმი, რომელშიც შეედნენ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარე დი ვიტორიო, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივანი ლუი საიანი, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ვიცეთავმჯდომარეები ნ. მ. შვერნიკი (სსრკავშირი), ალენ ლე ლეპი (საფრანგეთი), ლუ ნინ-ი (ჩინეთი), ლომბარდო ტოლედანო (ლათინური ამერიკა), შ. ა. დანგე (ინდოეთი), აბდულა დიალო (საფრანგეთის სუდანი), ფ. ზუპკა (ჩეხოსლოვაკია), ბ. ბრანდსენი (ჰოლანდია) და მთელი მსოფლიოს პროფკავშირული მოძრაობის სხვა თვალსაჩინო მოღვაწეები.

კონგრესმა დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი:

1) ანგარიში პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მოღვაწეობის შესახებ და პროფკავშირთა შემდგომი ამოცანები ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, მშვიდობისათვის ბრძოლაში მშრომელთა მოქმედების ერთიანობის განმტკიცების საქმეში (მომხსენებელი ლუი საიანი — პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივანი).

2) პროფკავშირთა ამოცანები კაპიტალისტურ და კოლონიურ ქვეყნებში ეროვნული დამოუკიდებლობისა და დემოკრატიულ თავისუფლებათა დასაცავად ეკონომიური და სოციალური განვითარებისათვის ბრძოლაში (მომხსენებელი ჯუზეპე დი ვიტორიო — პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარე).

3) კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ ქვეყნებში პროფკავშირული მოძრაობის განვითარების შესახებ (მომხსენებელი რუსლან ვიჯაჯასტრა — სობსის — ინდონეზიის პროფკავშირთა საყოველთაო ცენტრალური ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოადგილე).

4) პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის რევიზორთა ფინანსური ანგარიში.

5) პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

კონგრესის მუშა კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შემდეგ სიტყვა დღის წესრიგის პირველ პუნქტზე მოხსენებისათვის ეძლევა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალურ მდივანს ლუი საიანს.

ლუი საიანის მოხსენება

ლუი საიანმა თავისი მოხსენების დასაწყისში ხაზგასმით აღნიშნა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა მთელი მსოფლიოს მუშათა მოძრაობისათვის. ამ ერთიანი, დემოკრატიული, საერთაშორისო პროფკავშირული ორგანიზაციის თვით წარმოშობა, თქვა საიანმა, იყო შედეგი მშრომელთა მრავალი წლის ბრძოლისა თავიანთი ძალების როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო მასშტაბით დარაზმვისათვის. ეს დარაზმვა იყო და არის მშრომელთა აუცილებელი ეფექტიანი იარაღი მათს ბრძოლაში თვითნებობის, უსამართლობისა და ადამიანის მიერ ადამიანის სამარცხვინო ექსპლოატაციის წინააღმდეგ, რომლებიც კაპიტალისტურ სისტემას სჩვევია.

ილაპარაკა რა პროფკავშირთა მესამე მსოფლიო კონგრესის მნიშვნელობის საკითხზე, ლუი საიანმა აღნიშნა, რომ პროფკავშირული მოძრაობის ისტორიაში საერთაშორისო კონგრესის მომზადება პირველად ხორციელდებოდა ესოდენ ფართო დემოკრატიის, მასში მშრომელთა და მათი პროფკავშირების ესოდენ ფართო მონაწილეობის საფუძველზე.

დადგა მომენტი, ამბობს ლუი საიანი, რომ ისეთმა პასუხსაგებმა თათბირმა, როგორიც ჩვენი თათბირია, შეისწავლოს იმ ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური პრობლემების თანამედროვე მდგომარეობა, რომლებიც წარმოიშვნენ ანდა გართულდნენ მეორე მსოფლიო ომის შედეგად.

დადგა დრო პასუხი გავცეთ შემდეგ კითხვას — რა მოიპოვეს პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა მთელ მსოფლიოში თავიანთი პროგრამების რეალიზაციის საქმეში?

შემდეგ მომხსენებელმა დაახასიათა უმნიშვნელოვანესი ცვლილებანი საერთაშორისო ვითარებაში და პროფკავშირულ მოძრაობაში პროფკავშირთა მეორე მსოფლიო კონგრესის შემდეგ, რომელიც 1949 წლის შუა თვეებში გაიმართა ქალაქ მილანში.

ლუი საიანმა მოიყვანა ვრცელი ფაქტიური მასალა, რომელიც ცხადყოფს, რომ ყბადაღებულმა „მარშალის გეგმამ“ გააძლიერა კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა გაღატაკება, გამოიწვია ცხოვრების ღირებულების გადიდება, საგადასახადო ტვირთის გაძლიერება, უმუშევრობის ზრდა, მშრომელთა ექსპლოატაციის გაძლიერება, კაპიტალისტთა მოგების ზრდა. ოფიციალურ სტატისტიკურ ცნობებზე დამყარებით ლუი საიანმა აღნიშნა, რომ ცხოვრების ღირებულება 1953 წელს (100-ად აღებულია 1948 წლის დონე) გადიდდა: ავსტრიაში 99 პროცენტით, ფინეთში — 57 პროცენტით, საფრანგეთში — 45 პროცენტით, ინგლისში — 31 პროცენტით, ნორვეგიაში — 35 პროცენტით, დანიაში — 23 პროცენტით და სხვ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახადები გადიდდა 12-ჯერ 1937-1938 წლების დონესთან შედარებით, საფრანგეთში მათ მიაღწიეს 1938 წლის დონის 260 პროცენტს, ინგლისში — 200 პროცენტს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახადები შედგენენ ეროვნული შემოსავლის 30 პროცენტს, საფრანგეთში — 39 პროცენტს, ხოლო ინგლისში — 42 პროცენტს.

ოფიციალური ცნობებით, დასავლეთ ევროპის 12 ქვეყანაში 1948 წელს იყო 2.959 ათასი უმუშევარი, ხოლო 1953 წლის აპრილში — 4.300 ათასი, ე. ი. 45 პროცენტით მეტი.

ავსტრალიაში, კანადაში, იაპონიასა და ინდოეთში მთლიანად უმუშევართა რაოდენობა 1948 წლიდან 1953 წლის აპრილამდე 100 პროცენტით და მეტით გადიდდა.

ლუი საიანმა ილაპარაკა ექსპლოატაციის გაძლიერებაზე და მოიყვანა აგრეთვე ცნობები წარმოებაში უბედურ შემთხვევათა ზრდის შესახებ.

ფაქტების საფუძველზე მომხსენებელმა ცხადყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიების მოგების წლიური თანხა უდრის სამხრეთაღმოსავლეთ აზიის 600 მილიონი მცხოვრების წლიურ შემოსავალს. ინგლისის მონოპოლიების მოგება 1949 წლიდან 1952 წლამდე 2,5 მილიარდიდან 3,8 მილიარდ გირვანქა სტერლინგამდე გადიდდა. ამავე პერიოდში იტალიის მონოპოლიების მოგება ერთისაადმე გადიდდა.

მონოპოლიების მოგების ზრდასთან ერთად წარმოებს კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელი მასების შემდგომი გაღატაკება, მათი რეალური ხელფასის შემცირება, სურსათისა და ფართო მოხმარების საგნების ფასების ზრდა.

ლუი საიანი შეეხო მშრომელთა საარსებო მოთხოვნების დაცვისათვის ბრძოლის წარმატებას და აღნიშნა, რომ მშრომელები სულ უფრო აქტიურად მოქმედებენ კაპიტალისტური ექსპლოატაციის გაძლიერების წინააღმდეგ.

შემდეგ ლუი საიანმა ილაპარაკა სსრკავშირში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებში შესანიშნავ ეკონომიურ და სოციალურ მიღწევებზე, ამ ქვეყნების ხალხთა კეთილდღეობის განუხრელ ზრდაზე, სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში პროფკავშირთა წარმატებებზე.

ილაპარაკა რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვადასხვა ორგანოსა და სპეციალიზებულ დაწესებულებაში პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მონაწილეობაზე, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გამოსვლებზე პროფკავშირულ უფლებათა დასაცავად, საიანმა ამხილა ჟენევის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეაქციული არსი და მკვეთრად დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მოქმედება, რომელიც უარს ეუბნება პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის დელეგატებს ამერიკის შეერთებულ შტატებში შესასვლელ ვიზებზე, როცა იქ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სესიები იმართება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის უფლებათა დაცვა, ამბობს ლუი საიანი, ნიშნავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და თვით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაცვას.

ისინი, ვინც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების რევიზიას მოითხოვს, ხალხთა საერთაშორისო თანამშრომლობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის მტრები არიან.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის სახელით ლუი საიანმა მოითხოვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიღება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ლუი საიანმა ილაპარაკა პროფკავშირულ უფლებათა დაცვაზე, მათი გაფართოებისათვის ბრძოლასა და პროფკავშირული დემოკრატიის საკითხებზე.

კაპიტალისტური ქვეყნების მეწარმეები და მთავრობები, თქვა მან, მეტად შეშფოთებული არიან პროფკავშირთა გავლენის გაძლიერებით. ისინი ისწრაფვიან ზიანი მიაყენონ პროფკავშირებს, ჩააყენონ ისინი თავიანთი პოლიტიკის სამსახურში, ააცდინონ სწორ გზას. პროფკავშირულ უფლებათა სისტემატური ხელყოფა არ უნდა იქნას განხილული იზოლირებულად, როცა მას მიმართავენ საფრანგეთში, იტალიაში, კუბაზე, ვენესუელაში, მაროკოში, ტუნისში, იაპონიაში, საბერძნეთსა და სხვა ქვეყნებში. ტაფტ-ჰარტლის კანონი ისევე გამოაქვთ ვაშინგტონიდან, როგორც ამერიკული დოლარები, როგორც დირექტივები იმის შესახებ, თუ რა და რა საქონელი არ უნდა იყოს საგარეო ვაჭრობის საგანი.

მაგრამ ამ რეპრესიებს, აღნიშნავს საიანი, არ გამოუწვევია მშრომელთა ბრძოლისუნარიანობის შესუსტება.

ლუი საიანმა მოუთხრო დამსწრეთ, თუ რა ბრძოლას ეწევა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია პროფკავშირული უფლებების დასაცავად კოლონიურ ქვეყნებში, ამასთან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ბრძოლა უერთდება ხალხთა დემოკრატიული უფლებებისათვის ბრძოლას.

ლუი საიანმა დიდი ყურადღება მიაქცია ხელფასისა და უმუშევრობის შემცირებისათვის ბრძოლაში პროფკავშირთა მუშაობის საკითხს, პროფკავშირთა პოზიცია ხელფასის საკითხში, თქვა ლუი საიანმა, აქტიური და შეტევითი უნდა იყოს.

ცნობილია, მაგალითად, რომ საფრანგეთში მრეწველობასა და ვაჭრობაში მომუშავე ქალთა ხელფასი საშუალოდ 8 პროცენტით ნაკლებია მამაკაცის ხელფასზე. ფინეთში ეს სხვაობა შეადგენს 20 პროცენტს, იტალიაში — 30 პროცენტს, ინგლისში — 35 პროცენტს, შვეიცარიაში — 30-დან 40-მდე პროცენტს, დასავლეთ გერმანიასა და შვეიცარიაში — 40 პროცენტს. იაპონიაში ხელფასის სხვაობა სქესისა და ასაკის მიხედვით 60 და მეტ პროცენტს აღწევს.

გადავიდა რა განყოფილებაზე „მშვიდობისათვის მშრომელთა ბრძოლა ყველა პროფკავშირული ორგანიზაციის გადამწყვეტი ამოცანაა“, ლუი საიანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო მოძრაობაში ხორციელდება მოსახლეობის სხვა ფენებთან მუშათა კლასის კავშირი.

ეს, თქვა საიანმა, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა და პროფკავშირები უნდა შეერთდნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ პროფკავშირებს უნდა შეეძლოთ სწორად განავითარონ თავიანთი საკუთარი საქმიანობა, მშრომელთა ფართო მასების სახელით საკუთარი ინიციატივა გამოიჩინონ მშვიდობის დაცვის საქმეში.

თანამედროვე პერიოდში პროფკავშირებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ საერთაშორისო პრობლემათა მშვიდობიანი მოწესრიგების კამპანიაში.

ამ უკანასკნელ თვეებში საერთაშორისო მდგომარეობის განვითარება და დისკუსიები კორეაში დაზავების შესახებ შეთანხმების გამოყენებისა და გერმანიაში არსებული მდგომარეობის შესახებ შემდეგ გაკვეთილს გვაძლევს: სრული სიცხადე უნდა იყოს, როცა საქმე ეხება მოლაპარაკებას.

მოლაპარაკება, რომელსაც ერთი მხარე იწყებს იმ აზრით, რომ მეორე მხარესთან შეუძლებელია რაიმე შეთანხმება, ან იმ განზრახვით, რომ მოლაპარაკების მეორე მონაწილეს თავს მოახვიოს თავისი თვალსაზრისი, ნამდვილი მოლაპარაკება არ იქნება. ეს ეწინააღმდეგება მოლაპარაკების არსს. ეს დიქტატია.

სწორედ ასეთია ახლა ამერიკის მთავრობის პოზიცია. ნამდვილად მას სურს მოსპოს ხალხთა გონებაში მოლაპარაკების შესაძლებლობის იდეა, რათა შეცვალოს იგი ყველა საკითხის ძალით გადაწყვეტის იდეით.

იმ მდგომარეობას, რომელშიც ახლა კორეის პრობლემაა, მივყავართ ისეთ დასკვნამდე, რომ ხალხები მუდამ ფხიზლად უნდა იყვნენ, რათა ხელი შეუშალონ დროებითი ზავის დარღვევას, რათა მიაღწიონ სამართლიან მოლაპარაკებას კორეასა და აზიაში მშვიდობის შესახებ.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რა მდგომარეობაშია ახლა, დასავლეთ გერმანიაში მომხდარი არჩევნების შემდეგ, გერმანიის რემილიტარიზაციის საკითხი, უნდა გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ომის საფრთხე ძლიერდება. გერმანიის მეზობელ ხალხებს ეს ინსტინქტურად ესმით. ბონისა და პარიზის ხელშეკრულებათა რატიფიკაცია ომის სერიოზული საფრთხის მომასწავებელი იქნებოდა. პროფკავშირები არ უნდა დარჩნენ გულგრილნი. მათ გარკვეული პოზიცია უნდა დიიკავონ ამ საკითხში.

ამ კონგრესმა საჯაროდ უნდა მოუწოდოს ევროპის ქვეყნების ყველა მშრომელსა და ყველა პროფკავშირს გაერთიანონ თავიანთი ძალღონე, რათა ხელი შეუშალონ ომის საფრთხის გაძლიერებას.

უნდა ვიბრძოლოთ და საბრძოლველად გავაერთიანოთ მთელი დემოკრატიული ძალები, რომლებმაც გადაწყვიტეს მტკიცედ გაილაშქრონ ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ. მშვიდობისა და დემოკრატიისათვის მებრძოლ ხალხთა ძალები აღემატება ომის პროვოკატორებისა და დემოკრატიის მესაფლავეთა ძალებს.

მიესალმება რა კორეაში დაზავებაზე შეთანხმების ხელმოწერას, როგორც ხალხთა გამარჯვებას, პროფკავშირთა მე-3 მსოფლიო კონგრესმა მტკიცედ და გადაჭრით უნდა მოითხოვოს — შეწყდეს კოლონიური ომი, რომელსაც საფრანგეთის მთავრობა შავდი წელია ეწევა ვიეტნამში — მაროკოში.

საერთაშორისო პროფკავშირულმა მოძრაობამ უეჭველი დახმარება უნდა გაუწიოს ხალხებს, რომლებიც, მაროკოს და ტუნისის ხალხების მსგავსად, იბრძვიან თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის და მზეცურ რეპრესიებს განიცდიან კოლონიზატორების მხრივ.

ქვეყნებს შორის ეკონომიური და სოციალური გაცვლის განვითარების საქმეში პროფკავშირთა საქმიანობის გააქტიურება ნიშნავს აგრეთვე მშვიდობისათვის ბრძოლის განმტკიცებას.

შემდეგ ლუი საიანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მშრომელთა მოქმედების ერთიანობის დამყარება და პროფკავშირული ერთიანობისათვის ხელის შეწყობა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის უმთავრესი ამოცანაა.

ლუი საიანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საერთაშორისო სოლიდარობა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მთელი მოღვაწეობის საფუძველია და დასასრულ თქვა:

ამხანაგებო, გაბედულად წავიდეთ წინ ახალ-ახალი გამარჯვებისაკენ. ვიქონიოთ ჩვენი მომავალი წარმატებების რწმენა და ფხიზლად ვიყოთ ჩვენს ყოველდღიურ ბრძოლაში. მაღლა ავაფრიალოთ საერთაშორისო სოლიდარობის დროშა.

ყველგან, მთელ მსოფლიოში სულ უფრო ძლიერდება მშრომელთა მისწრაფება ერთიანობისადმი, მისწრაფება სიღატაკის დაძლევისა და მშვიდობის შენარჩუნებისადმი, განვამტკიცოთ ერთიანობისადმი ეს მისწრაფება და ახალი ძალა შევმატოთ მას.

უკან დავაბრუნოთ გამთიშველებს, დავამსხვრიოთ მათი საზიზღარი და მშრომელთათვის საზიანო ცდები, რომლებსაც მხოლოდ ექსპლოატატორებისათვის მოაქვს სარგებლობა.

გაუმარჯოს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას — მთელი მსოფლიოს მშრომელ მამაკაცთა და ქალთა გაერთიანებისათვის მებრძოლს!

11 ოქტომბრის დიღის სხდომა

ვენა, 11 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს პროფკავშირთა III მსოფლიო კონგრესის დილის სხდომაზე დაიწყო ალბერ ლუი საიანის მოხსენების გამო. თავმჯდომარე ნ. მ. შვერნიკი პირველ სიტყვას აძლევს ვ. მანუელ გუტიერესს — გვატემალის მშრომელთა ერთიანი კონფედერაციის გენერალურ მდივანს.

ამერიკის კომპანია „იუნაიტედ ფრუტ კომპანი“, — თქვა გუტიერესმა, — მეთაურობს რეაქციის ბანაკს გვატემალაში, აიარაღებს შეთქმულებს, ფულს აძლევს ტერორისტულ ჯგუფებს და ახორციელებს სხვა ძირგამომთხრელ მოქმედებას, რომელთა მიზანია ხელისუფლების სათავეში ჩააყენოს მისი მორჩილი მთავრობა. გუტიერესმა მოიყვანა მაგალითები გვატემალელი მუშების მედგარი ბრძოლისა, რომლებიც უცხოელთა მონოპოლიების საწარმოებში მუშაობენ.

ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის წარმომადგენელმა ზუპკამ ილაპარაკა მშრომელთა წარმატებებზე სოციალიზმის მშენებლობაში, პროფკავშირთა როლზე სახალხო-დემოკრატიულ ჩეხოსლოვაკიაში.

მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ადამიანებთან ერთად, თქვა ზუპკამ, ჩეხოსლოვაკიის პროფკავშირები სავსებით უჭერენ მხარს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოთხოვნებს ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ, ყველა მოუწესრიგებელი საერთაშორისო პრობლემის მშვიდობიანად გადაჭრის შესახებ.

შემდეგ გამოსულმა ფინელ მშრომელთა წარმომადგენელმა ლარს იუნტილამ ილაპარაკა, რომ ფინეთის პროფკავშირები ქმედითად მოემზადნენ კონგრესისათვის. საწარმოებსა და პროფკავშირულ ორგანიზაციებში გაიმართა 2.500-ზე მეტი კრება, რომლებზეც მუშებმა და მოსამსახურეებმა მხარი დაუჭირეს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის საქმიანობას, რომლის მიზანია მშრომელთა ერთიანობის მიღწევა.

იუნტილამ აღნიშნა, რომ ამჟამად ფინეთში ძლიერდება კაპიტალის შეტევა მოსახლეობის ფართო ფენების ცხოვრების დონეზე, მაგრამ ფინეთში ძლიერდება წინააღმდეგობა ამ შეტევისადმი.

ტრიბუნაზეა ჰერბერტ ვარნკე. იგი მიესალმება კონგრესის მონაწილეებს გერმანიის დელეგაციის სახელით, რომელშიც შედიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და დასავლეთ გერმანიის მშრომელთა წარმომადგენლები.

ვარნკემ აღნიშნა, რომ დასავლეთ გერმანიაში შექმნილი მდგომარეობა სერიოზული საფრთხეა ყველა ევროპელი ხალხისათვის. ამიტომ გერმანიის დელეგაცია, ამბობს იგი, მხურვალედ უჭერს მხარს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივნის ლუი საიანის წინადადებას, რომ პროფკავშირთა III მსოფლიო კონგრესმა მიმართოს ევროპის ყველა პროფკავშირსა და ყველა მშრომელს მოწოდებით — გააერთიანონ ღონისძიებანი ომის საფრთხის მოსპობისათვის ბრძოლაში, ბონისა და პარიზის ხელშეკრულებათა რატიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჩვენ იმ აზრისა ვართ, თქვა ვარნკემ, რომ სავსებით შესაძლებელია ჩამოყალიბდეს საერთო პროგრამა გერმანიის პროფკავშირთა ყველა წევრისათვის. ამიტომ ჩვენს დელეგაციას წინადადება შემოაქვს განხილულ იქნას საწარმოებსა და პროფკავშირებში ასეთი საერთო პროგრამის შემუშავების საკითხი.

ბირმის დელეგატმა ტან ნგუმმა ილაპარაკა ბირმის პროფკავშირთა პროგრესული კონგრესის ბრძოლაზე მშრომელთა მოქმედების ერთიანობისათვის.

ჩილის მშრომელთა ერთიანი პროფკავშირული ცენტრის გენერალურმა მდივანმა ვ. კასანოვამ მოიყვანა ცნობები ჩილელ მშრომელთა მდგომარეობის განუხრელი გაუარესების შესახებ. ამა წლის პირველ ცხრა თვეში ცხოვრების ღირებულება გადიდდა 32 პროცენტით, ხოლო ხელფასი მარტო 10 პროცენტით. ჩილში აკლიათ 500 ათასზე მეტი საცხოვრებელი ბინა, 160 ათასი ჩილელი ქოხმახებში ცხოვრობს, ბავშვთა 50 პროცენტი დაავადებულია ტუბერკულოზით.

ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის მშრომელთა ერთობლივი ბრძოლის საფუძველზე, თქვა ვ. კასანოვამ, ერთიანობისადმი მისწრაფებამ ჩილში ფართო გაქანება ჰპოვა. ამისი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგია ჩილელ მშრომელთა ერთიანი პროფკავშირული ცენტრის შექმნა. მუშები სულ უფრო ხშირად მიმართავენ გაფიცვებს. ჩილელი მშრომელები იბრძვიან თავიანთი უშუალო ეკონომიური მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის, მიწის რეფორმისათვის, რეპრესიული კანონების გაუქმებისათვის, პროფკავშირული უფლებებისა და სამოქალაქო თავისუფლებების უზრუნველყოფისათვის.

შემდეგ გამოსულმა ცეილონის პროფკავშირთა ფედერაციის გენერალურმა საბჭოს წევრმა ჰასან სანმუგატმა აღნიშნა ინგლისის მონოპოლიების ძალადობა ცეილონის ეკონომიკაში. დღემდე ინგლისელებს ეკუთვნით ჩაის პლანტაციების 80 პროცენტი და კუნძულის კაუჩუკის პლანტაციების თითქმის ნახევარი. უცხოელთის ფირმების ბატონობის შედეგად ცეილონის ეკონომიკა დიდ კრიზისს განიცდის, რის მთელი სიმძიმეც მშრომელებს ეკისრებათ.

შემდეგ ჰასან სანმუგატმა ილაპარაკა ცეილონელ მშრომელთა ბრძოლაზე.

კონგრესის სხდომის დარბაზში შემოდის ავსტრიის მუშათა ორგანიზაციების დელეგაცია, რომელსაც დამსწრენი მქუხარე ტაშით ეგებებიან. დელეგაცია თავმჯდომარეს ნ. მ. შვერნიკს გადასცემს ყვავილების თაიგულებს და ავსტრიელ მშრომელთა საჩუქრებს.

ავსტრიის პროფკავშირთა გაერთიანების გამგეობის წევრი ჰაინზი აქვეყნებს ავსტრიის პროფკავშირული ორგანიზაციების მისალმებას კონგრესისადმი.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ნ. მ. შვერნიკმა.

დასასრულ დილის სხდომაზე გამოვიდა პანამის მშრომელთა ფედერაციის წარმომადგენელი მართა მატამოროსი.

11 ოქტომბრის საღამოს სხდომა

ვენა, 11 ოქტომბერი. (საკდესი). კონგრესის საღამოს სხდომაზე თავმჯდომარეობდა ალენ ლე ლეპი.

სხდომის პირველმა ორატორმა — ალჟირელ მუშათა წარმომადგენელმა ანდრე რიუზმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ალჟირის მუშათა კლასი სავსებით იწონებს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის პროგრამასა და მოღვაწეობას.

რიუზმა ილაპარაკა მშრომელთა ბრძოლაზე იმ ცდების წინააღმდეგ, რომელთა მიზანია მუშათა მოძრაობის გათიშვა. ამჟამად, თქვა მან, მუშები სულ უფრო ნათლად იგებენ, რომ მუშათა კლასის მდგომარეობის გაუარესება, პროფკავშირულ და დემოკრატიულ თავისუფლებათა მოსპობა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილეთათვის სისხლისღვრით ანგარიშის გასწორება, სხვა მიზეზთა გარდა, გამოწვეულია აგრეთვე გამთიშველთა გამცემლობით. მუშებს ესმით, თუ რაოდენ დიდია საერთაშორისო ერთიანობის მნიშვნელობა მათი საკუთარი განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ეს საერთაშორისო ერთიანობა მიღწეულ იქნება ყველა მშრომელის ღონისძიებათა შედეგად, რომელთა მიზანია პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მიერ დასახული მიზნების განხორციელება.

ჰოლანდიელ მშრომელთა წარმომადგენელმა ბრანდსენმა ილაპარაკა ჰოლანდიაში „მარშალის გეგმის“ განხორციელების შედეგებზე. „მარშალის გეგმამ“, თქვა ბრანდსენმა, გვიჩვენა, რომ ევროპოწოდებული „ეკონომიური დახმარება“ მხოლოდ უფრო ძლიერ აკავშირებს ჩვენს ქვეყანას გამალებული შეიარაღების პოლიტიკასთან, რის ხარჯებსაც მთლიანად აკისრებენ მშრომელ ხალხს.

ბრანდსენის გამოსვლის შემდეგ სიტყვა მიეცა საბჭოთა პროფკავშირების დელეგაციის ხელმძღვანელს ნ. მ. შვერნიკს. მის გამოჩენას ტრიბუნაზე კონგრესის დელეგატები ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

ჯოლანდიაში წყალში ჩაუშვეს დიზელ-ელექტრომავალი „ობი“

ჰაბაბა, 11 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ ჰოლანდიის გემთსაშენ ვერფ „დე სჰალდენში“ ქალაქ ფლისინგენში წყალში ჩაუშვეს საბჭოთა კავშირისათვის აგებული დიზელ-ელექტრომავალი „ობი“. გემის ჩაშვებას დაესწრნენ სსრკავშირის ელჩი ჰოლანდიაში ს. ბ. კირსანოვი, საგაჭრო წარმომადგენელი ე. ბ. გუროვი, ჰოლანდიის საგარეო ვაჭრობის სამმართველოს გენერალური დირექტორის თანაშემწე ინსინგერი, ქალაქ ფლისინგენის ბურგომისტრი კოლფი, გემთსაშენი ვერფის „დე სჰალდენის“ ადმინისტრაცია, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი და მუშები.

ჩინეთის ცენტრალური სახალხო მთავრობის პასუხი ამერიკის შეერთებული შტატების წერილზე პოლიტიკური კონფერენციის მოწვევის შესახებ

პეკინი, 10 ოქტომბერი. (საკდესი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის პასუხი ამერიკის შეერთებული შტატების წერილზე პოლიტიკური კონფერენციის მოწვევის შესახებ. პასუხში, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის სახელით საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯოუ ენ-ლაიმ გასცა, ნათქვამია:

„ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურმა სახალხო მთავრობამ ცნობად მიიღო და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან ერთად შეისწავლა შეერთებული შტატების მთავრობის სამი წერილი, რომლებიც შვეიცის მთავრობის მეშვეობით გადმოგვეცა შესაბამისად 19, 24 სექტემბერს და 9 ოქტომბერს.

ამყამად დავალებული მაქვს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის სახელით განვაცხადო შემდეგი:

1. შესაბამისად 1953 წლის 13 და 14 სექტემბერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურმა სახალხო მთავრობამ და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ თავიანთ საპასუხო დეპეშებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ბ-ნ დაგ ჰამარშელდისადმი წამოაყენეს ოთხი წინადადება, რომლებიც ითვალისწინებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-8 სესიამ რაც შეიძლება მალე უნდა მიიღოს ღონისძიებანი პოლიტიკური კონფერენციის მონაწილეთა შემადგენლობის გასაფართოებლად, რათა ეს კონფერენცია მალე იქნას მოწვეული. ეს წინადადებანი ოფიციალურად გადასცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-8 სესიის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურმა ბ-ნმა ანდრია ვიშინსკიმ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-8 სესიის თავმჯდომარისადმი გაგზავნილი 18 სექტემბრის წერილით ითხოვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობების ზემოხსენებული წინადადებანი შეეტანათ დღის წესრიგში. მაგრამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-8 სესიამ უარი თქვა დღის წესრიგში მათ შეტანაზე. ცენტრალური სახალხო მთავრობის აზრით ეს იმას მოწმობს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა ეწინააღმდეგება საერთაშორისო დავის მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით მოწესრიგების პრინციპს, რაც კეთილგონიერი არ არის, და ეს დიდად სამწუხაროდ მიაჩნია.

2. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობა მუდამ იმ თვალსაზრისს იდგა, რომ პოლიტიკური კონფერენციის თავისი ფორმით არ უნდა იყოს პანმინჯონის მოლაპარაკების გმეორება, არამედ, კორეაში ორი მეომარი მხარის გარდა, მონაწილეობის მისაღებად უნდა მოიწვიოს დაინტერესებული ნეიტრალური სახელმწიფოები, რაც გააადვილებს კონფერენციის შეუფერხებელ მუშაობას და შესაძლებლობას მოგვცემს გამოვნახოთ უცხოეთის მთელი ჯარების გაყვანის საკითხის გადაჭრის, კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგებისა და სხვა საკითხების გადაწყვეტის გზა. მაგრამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ, უგულებელყო რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, წესდების მიზნები და პრინციპები, დაიცვა კორეაში ერთ-ერთი მეომარი მხარის პოზიცია და, დაადგა რა უმცირესობის თვალსაზრისს, რომელიც ეწინააღმდეგება პოლიტიკურ კონფერენციაში ინდოეთის მონაწილეობას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრთა უმრავლესობას წაართვა უფლება საერთაშორისო სადავო საკითხები გადაჭრას მშვიდობიანი საშუალებით წესდების შესაბამისად. ცენტრალურ სახალხო მთავრობას მიაჩნია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ასეთი მოქმედება იწვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრესტიჟის შემდგომ დაკარგვას, რომელიც უკვე თითქმის სულ დაკარგულია, და რომ ეს მოქმედება შესაძლებლობას აძლევს ადამიანებს უფრო ნათლად დაინახონ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია კვლავ ემსახურება აგრესორთა ინტერესებს საერთაშორისო დაძაბულობის შექმნაში.

3. მიუხედავად ამისა, კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების პოლიტიკის განუხრელი განხორციელებისათვის, რომლის მიზანია აზიისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმის გაადვილება, და პოლიტიკური კონფერენციის მოწვევის დასაჩქარებლად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან კონსულტაციის შემდეგ დათანხმდა, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობები დანიშნავენ წარმომადგენლებს შეერთებული შტატების წარმომადგენლებთან შესახვედრად, რათა მოეწყოს მოლაპარაკება იმ საკითხებზე, რომლებიც პოლიტიკურ კონფერენციას ეხება.

4. ამ მოლაპარაკებაზე უნდა გადაიჭრას არა მარტო პოლიტიკური კონფერენციის მოწვევის ადგილისა და თარიღის საკითხები, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, უნდა გადაიჭრას პოლიტიკური კონფერენციის მონაწილეთა შემადგენლობის საკითხი.

5. რამდენადაც ამ მოლაპარაკებას აწარმოებს მხოლოდ კორეაში მეომარი ორი მხარე, მიზანშეწონილია, რომ ამ მოლაპარაკების ადგილი იყოს პანმინჯონი კორეაში.

ჯოუ ენ-ლაი,
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი.

პეკინი, 1953 წლის 10 ოქტომბერი".

ჯოუ ენ-ლაის და იკუო ოიამას საუბარი

პეკინი, 10 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, 1953 წლის 28 სექტემბერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული სამმართველოს პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ მიიღო იაპონიის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე პროფესორი იკუო ოიამა. სააგენტო გადმოგცემს ჯოუ ენ-ლაისა და იკუო ოიამას საუბრის შინაარსს.

პროფესორი ოიამა: წარსულში დიდი ხნის მანძილზე იაპონიის მილიტარისტული ელემენტები აგრესიას ეწეოდნენ ჩინეთის წინააღმდეგ. იაპონელმა ხალხმა დროზე ვერ შეაჩერა ეს აგრესია, და ჩინელმა ხალხმა უდიდესი ზარალი განიცადა. იაპონელი ხალხის სახელით მინდა ბოდიში მოვიხადო ჩინელი ხალხის წინაშე. მინდა აგრეთვე იაპონელი ხალხის სახელით მადლობა გადავუხადო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას ჩინელ ხალხს თანმიმდევრული მეგობრული პოზიციისათვის იაპონელი ხალხის მიმართ.

პრემიერი ჯოუ ენ-ლაი: უცხო სახელმწიფოთა წინააღმდეგ იაპონელი მილიტარისტების დანაშაულებრივმა აგრესიამ, გარდა იმისა, რომ უდიდესი ზიანი მიაყენა ჩინელ ხალხსა და შორეული აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების ხალხებს, იაპონელი ხალხის უმაგალითო გაჭირვება გამოიწვია. დარწმუნებული ვარ, რომ მშვიდობისმოყვარე იაპონელ ხალხს ეხსომება ეს ისტორიული გაკვეთილი და არ დაუშვებს იაპონის რემილიტარიზაციას და ახალ აგრესიას უცხო სახელმწიფოთა წინააღმდეგ, რათა იაპონიამ აღარ განიცადოს კიდევ უფრო სასტიკი გაჭირვება, ვიდრე წარსულში განუცდია და ახლა განიცდის. ახლა იაპონელი ხალხი მამაცურად იბრძვის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის და რემილიტარიზაციის წინააღმდეგ, რასაც ჩინელი ხალხი ჯერჯერობით აფასებს.

პროფესორი ოიამა: შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის, განსაკუთრებით ჩინეთსა და იაპონიას შორის, მეგობრო ურთიერთობა უნდა იყოს ისტორიული და გეოგრაფიული მიზეზების გამო.

პრემიერი ჯოუ ენ-ლაი: ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ აღდგენილ იქნას ნორმალური ურთიერთობა მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან, კერძოდ, იაპონიასთან. მაგრამ თუ იაპონიის მთავრობა მომავალშიც იმოქმედებს როგორც შეერთებული შტატების იარაღი ჩინეთისა და შორეული აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების წინააღმდეგ, მტრული პოლიტიკას განაგრძობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩინელი ხალხის მიმართ და კვლავაც განაგრძობს ეგრეთწოდებულ დიპლომატიურ ურთიერთობას ჩანკაი-შისტური ბანდის ნაბოლარებთან, იაპონია დღითიდღე გაზდება წყნარ ოკეანეში შეშფოთების გამომწვევი ფაქტორი, და ამით ხელს შეუშლის იმის შესაძლებლობას, რომ იაპონიამ საზავო ხელშეკრულება დადოს და ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა დაამყაროს ახალ ჩინეთთან.

პროფესორი ოიამა: ჩემი აზრით, ჩვენს ორ ხალხს შორის კულტურული და ეკონომიური გაცვლა შესაძლებელია, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ჯერ კიდევ არ დამყარებულა დიპლომატიური ურთიერთობა ჩინეთსა და იაპონიას შორის.

პრემიერი ჯოუ ენ-ლაი: დიახ. ჩვენ მივესალმებით ჩინეთში იაპონელი ხალხის დელეგაციების ჩამოსვლას; ამასთან ჩვენს ხალხსაც სურს გაგზავნოს დელეგაციები იაპონიაში. მაგრამ ამერიკელი იმპერიალისტები და იაპონელი რეაქციონერები ხელს უშლიან ჩინელ და იაპონელ ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარებას. იაპონიის მთავრობა, რომელიც აშკარად ახორციელებს „ემბარგოს" ამერიკულ პოლიტიკას, ყოველნაირად ცდილობს ხელი შეუშალოს ჩინეთსა და იაპონიას შორის სავაჭრო და კულტურული გაცვლის განვითარებას. ამიტომ ამ დაბრკოლების გადასალახავად საჭიროა ორი ხალხის საერთო ღონისძიებანი.

ჩინეთ-იაპონიის სავაჭრო ურთიერთობას საფუძვლად უნდა დაედოს თანასწორობა, ურთიერთსარგებლობა და მოთხოვნილებათა ურთიერთ დაკმაყოფილება. ჩინეთის თანდათანობითი ინდუსტრიალიზაციის მიხედვით მისი წარმოება და მოთხოვნილება სულ უფრო გაიზრდება და მას სულ უფრო დასჭირდება საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობის განვითარება. იაპონია ჩინეთის ახლო მეზობელია. კარგი პერსპექტივები არსებობს ჩინეთ-იაპონიის ვაჭრობის განვითარებისა და მშვიდობიანი თანაარსებობის საფუძველზე ეკონომიური გაცვლისათვის.

პროფესორი ოიამა: იაპონიის შესახებ რეზოლუციამ, რომელიც მიიღო აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა პეკინის კონგრესმა 1952 წლის ოქტომბერში, სრული გაგება და მხარდაჭერა ჰპოვა იაპონელ ხალხში.

პრემიერი ჯოუ ენ-ლაი: ამ რეზოლუციის არსი შემდეგია: წყნარ ოკეანეში მშვიდობისა და უშიშროების დაცვისათვის საჭიროა თავიდან აცილებულ იქნას ახალი ომების საფრთხე, რომელიც ძლიერდება შეერთებული შტატების სამხედრო ბაზად იაპონიის გადაქცევის შედეგად, მისი რემილიტარიზაციის შედეგად.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ დამოუკიდებელ დემოკრატიულ, მშვიდობიან და თავისუფალ იაპონიას საკუთარი თავდაცვითი ძალიერება უნდა ჰქონდეს. მაგრამ მეტად სამწუხაროა, რომ ამჟამად იაპონია ოკუპირებული ჰყავთ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ძალებს, იქ გაბატონებული არიან შეერთებული შტატები, იაპონია ხელახლა იარაღდება და აღადგენს მილიტარიზმს ამერიკელი აგრესორების მოთხოვნის შესაბამისად. ეს საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და უშიშროებას წყნარ ოკეანეში და მოითხოვს ჩვენს გაძლიერებულ ყურადღებას. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მძლავრ ახალ ჩინეთს ამჟამად შეუძლია დაიცვას თავი და რომ იგი აღმოსავლეთში მშვიდობის დაცვის დიდმნიშვნელოვანი ბურჯი ხდება.

ამჟამად იაპონელი ხალხის წინაშე დასახულია ორი სხვადასხვა პერსპექტივა: ერთია მილიტარისტული იაპონია, შეერთებული შტატების სატელიტი, რასაც ესწრაფვიან იაპონელი რეაქციონერები; მეორეა დამოუკიდებელი, მშვიდობიანი, დემოკრატიული და თავისუფალი იაპონია, ე. ი. ის, რისთვისაც ამჟამად იაპონელი ხალხი იბრძვის. ახლანდელი მდგომარეობა ხელს უწყობს იაპონელ ხალხს, და ჩვენ გვწამს, რომ საბოლოო ანგარიშით იაპონელი ხალხი გამარჯვებს.

ჩინელ ხალხს კარგად ესმის იაპონელი ხალხის ტანჯვა უცხოეთის ჯარების ოკუპაციის გამო. ეს ტანჯვა უპრეცედენტოა იაპონიის ისტორიაში. ჩინელ ხალხს იმედი აქვს, რომ იაპონელი ხალხი შეძლებს მიაღწიოს ახალ ცხოვრებას და დამოუკიდებლობას თავისი ქვეყნისათვის და რომ ჩინეთი და იაპონია შეძლებენ მშვიდობიან თანაარსებობას.

ნერუს გამოსვლა ბომბეიში

დელი, 10 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ჰინდუსტან ტაიმსი" იუწყება, პრემიერ-მინისტრმა ნერუმ სიტყვა წარმოთქვა მიტინგზე ბომბეიში და მოითხოვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სარდლობისაგან კორეაში „დაგმოს სამხრეთ კორეის მთავრობის უპასუხისმგებლო აქტები და ნუ ეფარება შირმას".

შეეხო რა ლისინმანელთა პროვოკაციებს დემილიტარიზებულ ზონაში და მათს შეტევას, რომ შეიარაღებულ თავდასხმას მოაწყობენ ინდოეთის ჯარებზე, ნერუმ განაცხადა: „ჩვენ კორეაში საომრად არ ჩავსულვართ. ჩვენ იქ დიდი შეიარაღება და ტანკები არ ჩაგვიტანია. იქ ჩავედით ორივე მხარის სარდლობის მიწვევით, რათა შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა". „სამხრეთკორეელებმა, — განაგრძო ნერუმ, — სამარცხვინოდ დაარღვიეს შეთანხმება დაზავების შესახებ, გარეკეს რა 23 ათასი სამხედრო ტყვე დაზავებაზე შეთანხმების ხელმოწერის სწორედ ოთხი დღის შემდეგ. ეს სამხედრო ტყვეები უნდა გადაეცათ ნეიტრალური სახელმწიფოების წარმომადგენელთაგან შემდგარი სარეპატრიაციო კომისიისათვის. ეს არა მარტო სამარცხვინოა, არამედ დასაგმობიც არის".

შემდეგ ნერუმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „დაზავების შესახებ შეთანხმების შესრულებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა წევრებს და, კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომლებმაც ყველაზე დიდი მონაწილეობა მიიღეს კორეის ომში".

დამთავრდა ინგლისის კონსერვატიული პარტიის კონფერენცია

მარგეტი, 10 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). 10 ოქტომბერს მარგეტში დამთავრდა ინგლისის კონსერვატიული პარტიის 73-ე ყოველწლიური კონფერენცია. კონფერენციის დასასრულს სიტყვა წარმოთქვა პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა.

ჩერჩილის გამოსვლა მარგეტში

მარგეტი, 11 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). პრემიერ-მინისტრი ჩერჩილი, რომელიც გუშინ მარგეტში კონსერვატიული პარტიის კონფერენციის დასასრულს გამოვიდა, შეეხო ინგლისის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ზოგიერთ საკითხს.

ჩერჩილმა კონფერენციას მოუწოდა განამტკიცოს დასავლეთის „თავდაცვა" და ამის შესახებ განაცხადა: „ჩვენ ყოველ შემთხვევაში ვაპირებთ... ყოველივე შესაძლებელი გავაკეთოთ, რათა ხელი შევუწყოთ ევროპის არმიის შექმნას, რომელშიც შევა გერმანელთა ძლიერი კონტინგენტი.

ჩვენ, ისევე როგორც ამერიკელები, შეიარაღებულ ძალებს ვაყოლიებთ ევროპაში, რათა ფრანგთა ძალება გავუთანასწოროთ ჩვენი ახალი გერმანელი კოლეგის ძალებს. თუ ფრანგები არ დათანხმდებიან ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შექმნას, ჩვენ სხვა კეთილგონივრული არჩევანი არ გვექნება, გარდა რაიმე ახალი ღონისძიებისა, რომელიც გერმანიის ძალებს შეუერთებს დასავლეთელ მოკავშირეთა ძალებს ნატოს (ჩრდილოეთ ატლანტიკის სამხედრო ბლოკის). — **რედ.**) ფარგლებში".

შეეხო რა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთობას, ჩერჩილი ამტკიცებდა, რომ მას „წინანდებურად მიაჩნია, რომ სხვადასხვა ქვეყნის ხელმძღვანელ მოღვაწეებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ ერთმანეთს შეხვდნენ... იმისათვის, რომ გადალახონ ყველა სიძნელე..."

ნამ ირის განცხადება

ფხენიანი, 10 ოქტომბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნამ ირმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც პასუხია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ შვეიცის მთავრობის მეშვეობით გადაცემულ სამ წერილზე პოლიტიკური კონფერენციის მოწვევის შესახებ. ქვემოთ მოყვანილია სრული ტექსტი პასუხისა, რომელიც კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით გასცა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნამ ირმა.

„კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ცნობად მიიღო და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობასთან ერთად შეისწავლა შეერთებული შტატების მთავრობის სამი წერილი, რომლებიც შვეიცის მთავრობის მეშვეობით გადმოგვეცა შესაბამისად 19, 24 სექტემბერს და 9 ოქტომბერს.

ამჟამად დავალებული მაქვს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით განვაცხადო შემდეგი:

1. შესაბამისად 1953 წლის 13 და 14 სექტემბერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურმა სახალხო მთავრობამ და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ თავიანთ საპასუხო დეპეშებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ბ-ნ დაგ ჰამარშელდისადმი წამოაყენეს ოთხი წინადადება, რომლებიც ითვალისწინებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-8 სესიამ რაც შეიძლება მალე უნდა მიიღოს ღონისძიებანი პოლიტიკური კონფერენციის მონაწილეთა შემადგენლობის გასაფართოებლად, რათა ეს კონფერენცია მალე იქნას მოწვეული. ეს წინადადებანი ოფიციალურად გადასცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-8 სესიის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურმა ბ-ნმა ანდრია ვიშინსკიმ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-8 სესიის თავმჯდომარისადმი გაგზავნილი 18 სექტემბრის წერილით ითხოვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობების ზემოხსენებული წინადადებანი შეეტანათ დღის წესრიგში. მაგრამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-8 სესიამ უარი თქვა დღის წესრიგში მათ შეტანაზე. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის აზრით ეს იმას მოწმობს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა ეწინააღმდეგება საერთაშორისო დავის მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით მოწესრიგების პრინციპს, რაც კეთილგონიერი არ არის, და ეს დიდად სამწუხაროდ მიაჩნია.

2. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მუდამ იმ თვალსაზრისს იდგა, რომ პოლიტიკური კონფერენცია თავისი ფორმით არ უნდა იყოს პანმინჯონის მოლაპარაკების გმეორება. არამედ, კორეაში ორი მეომარი მხარის გარდა, მონაწილეობის მისაღებად უნდა მოიწვიოს დაინტერესებული ნეიტრალური სახელმწიფოები, რაც გააადვილებს კონფერენციის შეუფერხებელ მუშაობას და შესაძლებლობას მოგვცემს გამოვნახოთ უცხოეთის მთელი ჯარების გაყვანის საკითხის გადაჭრის, კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგებისა და სხვა საკითხების გადაწყვეტის გზა. მაგრამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ, უგულებელყო რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნები და პრინციპები, დაიკავა კორეაში ერთ-ერთი მეომარი მხარის პოზიცია და, დაადგა რა უმცირესობის თვალსაზრისს, რომელიც ეწინააღმდეგება პოლიტიკურ კონფერენციაში ინდოეთის მონაწილეობას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრთა უმრავლესობას წაართვა უფლება საერთაშორისო სადავო საკითხები გადაჭრას მშვიდობიანი საშუალებით წესდების შესაბამისად. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას მიაჩნია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ასეთი მოქმედება იწვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრესტიჟის შემდგომ დაკარგვას, რომელიც უკვე თითქმის სულ დაკარგულია, და რომ ეს მოქმედება შესაძლებლობას აძლევს ადამიანებს უფრო ნათლად დაინახონ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია კვლავ ემსახურება აგრესორთა ინტერესებს საერთაშორისო დაძაბულობის შექმნაში.

3. მიუხედავად ამისა, კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების პოლიტიკის განუხრელი განხორციელებისათვის, რომლის მიზანია აზიისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმის გადადგილება, და პოლიტიკური კონფერენციის მოწვევის დასაჩქარებლად კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურ სახალხო მთავრობასთან კონსულტაციის შემდეგ დათანხმდა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობები დანიშნავენ წარმომადგენლებს შეერთებული შტატების წარმომადგენლებთან შესახვედრად, რათა მოეწყოს მოლაპარაკება იმ საკითხებზე, რომლებიც პოლიტიკურ კონფერენციას ეხება.

4. ამ მოლაპარაკებაზე უნდა გადაიჭრას არა მარტო პოლიტიკური კონფერენციის მოწვევის ადგილისა და თარიღის საკითხები, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, უნდა გადაიჭრას პოლიტიკური კონფერენციის მონაწილეთა შემადგენლობის საკითხი.

5. რამდენადაც ამ მოლაპარაკებას აწარმოებს მხოლოდ კორეაში მეომარი ორი მხარე, მიზანშეწონილია, რომ ამ მოლაპარაკების ადგილი იყოს პანმინჯონი კორეაში.

ნამ ირი,
კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი.

ფხენიანი, 1953 წლის 10 ოქტომბერი".



ო. ხაინდრავა (ზუგდიდი), რომელმაც გაიმარჯვა დაბრკოლებებთან დოღში ორ კილომეტრზე.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

ზონალური პირველობა ცხენოსნობაში

ფოთი. 11 ოქტომბერი. („კომუნისტის" ხეიც. კორ.). დღეს ქალაქის იპოდრომზე დაიწყო ზონალური პირველობა ცხენოსნობაში. მონაწილეობენ ცხაკაიის, ზუგდიდის, გუდაუთის, აბაშის, წალენჯიხის, ფოთის, გალის, ჩოხატაურის და თბილისის სასპორტო საზოგადოება „სპარტაკის" ნაკრები კოლექტივები.

ცხენბურთელთა ასპარეზობაში მონაწილეობას იღებს 9 გუნდი. გათამაშება მიმდინარეობს წრიული სისტემით ერთ წრედ. მიედანზე პირველად გამოვიდნენ ცხაკაიანა და აბაშის რაიონების ცხენბურთელთა კოლექტივები. ინიციატივა თავიდანვე ხელთ იგდეს ცხაკაიას რაიონის ცხენოსნებმა და გაიმარჯვეს ანგარიშით 6 : 1. მძაფრი სასპორტო ბრძოლით მიმდინარეობდა ფოთისა და თბილისის „სპარტაკის" გუნდების შეჯახება. შეხვედრა მოიგეს ფოთელებმა. 3 : 2. ცხენბურთელთა გუნდების მესამე შეხვედრა ჩოხატაურისა და გალის რაიონის სპორტსმენთა კოლექტივებს შორის დამთავრდა ჩოხატაურელთა გამარჯვებით ანგარიშით 4 : 0.

33 მხედარი იღებდა მონაწილეობას დაბრკოლებათა გადალახვაში. შეჯიბრება მიმდინარეობდა ორ გიტად.

პირველ გიტში უკეთესი შედეგი მოიპოვა გუდაუთის ცხენოსანთა კოლექტივმა, რომელმაც 188,5 საჯარიმო ქულა მიიღო. მეორე ადგილზე გამოვიდა თბილისის „სპარტაკი", მესამეზე — აბაშის გუნდი. საცხენოსნო სპორტის ამავე სახეობაში პირადი პირველობისათვის მებრძოლთა შორის ყველაზე უკეთესი შედეგი აღმოაჩნდა აბაშის რაიონის გუნდის წარმომადგენელს გ. კუპრეიშვილს.

მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა ცხენოსნობის უმაღლესმა სკოლამ. მხედრობის მაღალი ოსტატობა გამოამჟღავნა სპარტაკელმა მ. ძიძიგურმა.

დღეი დაბრკოლებებით ვაეთათვის 2 კილომეტრზე ცხენოსნობის ერთ-ერთი საინტერესო სახეობაა. ჩემპიონატის პირველ დღეს ამ შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 12 მხედარმა. ზუგდიდელმა ცხენოსანმა ო. ხაინდრავამ პირველმა გადაჭრა ფინიშის ხაზი და მოიპოვა პირველობა. 2 კილომეტრი მან 2 წუთსა და 42,5 წამში დაფარა. მეორე ადგილი დაიკავა ო. კუპრეიშვილმა (აბაშა), მესამე — ნ. ხაინდრავამ (ზუგდიდი).

ზონალური პირველობა ცხენოსნობაში 19 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ფიზიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1953 წ. 27 ოქტომბერს, დღის 3 საათზე, ფიზიკის აუდიტორიაში (მეორე კორპუსი, უნივერსიტეტის ქ. № 3) ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **დავით ნიკოლოზის-ძე ღონღლაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„კავკასიონზე თოვლის ზვავების წარმოშობისა და მოძრაობის ზოგიერთი საკითხი".**

ოფიციალური ოპონენტები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის. ნამდვილი წევრი პროფესორი **კ. ს. ზავრიევი,** დოცენტი მეცნიერების კანდიდატი **ი. გ. ქურდიანი,** დოცენტი მეცნიერების კანდიდატი **ვ. მ. გიგინეიშვილი.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

გამომცემლობა „კომუნისტა" ესაჭიროება **მტვირთავი მუშები.** პირობების გასაგებად მიმართეთ: ლენინის ქ. № 14, მე-3 სართული, ოთახი № 1.

საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი შვეიცარიაში

ციურიხი, 12 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ ციურიხში გაიმართა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა საჭადრაკო ტურნირის 23-ე ტური.

კოტოვმა პარტიაში რეშევსკის წინააღმდეგ დებიუტით მიიღო მცირე, მაგრამ გარკვეული პოზიციური უპირატესობა. მაგრამ ენერგიული და ზუსტი დაცვით რეშევსკიმ მაინც შეძლო შესვენებისათვის გაეთანაბრებინა შანსები. პარტია გადადებულია.

შტალბერგმა წააგო გლიგორიჩთან, გელერმა—კერესთან. ეიფე-ტამანოვისა და ავერბახ-პეტროსიანის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

რეშევსკი — ბოლესლავსკის 22-ე ტურის პარტია, რომელიც გუშინ უფრო გვიან დაიწყო, რეშევსკის გამარჯვებით დამთავრდა.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

ამხ. ს. ი. ვაჩეიშვილი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის და დამზადებათა მინისტრის მოადგილედ;

ამხ. გ. გ. ავეტისოვი საქართველოს სსრ საურსათო საქონლის მრეწველობის მინისტრის მოადგილედ;

ამხ. ვ. ი. ჭიაურელი საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველ მოადგილედ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გათავისუფლა:

ამხ. ვ. გ. მაჭავარიანი საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

13 ოქტომბერს	ჯ. ვერდი — **ტრავიატა**
14 ოქტომბერს	ჟ. ბიზე — **კარმენი** (ტ. ი. ვიტინგ-ლუკიანოვის მონაწილეობით).

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტურ თანამდებობაზე (დრეკადობისა და პლასტიურობის თეორიის სპეციალობით).

განცხადებები და სათანადო საბუთები მიიღება ინსტიტუტის დირექციაში: ძერჟინსკის ქ. № 8.

კონკურსის ვადა ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა.

ლ. ბაინდრავა (ზუგდიდი), რომელმაც გაიმარჯვა დაბრკოლებებთან დოღში ორ კილომეტრზე.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

ოფიციალური ცხრილი

საქართველოს სსრ შემნახველ სალაროებში მოთავსებული ანაბრების მოგებათა ოცდამეორე ტირაჟისა, რომელიც ჩატარდა ქალაქ ბათუმში 1953 წლის 5 ოქტომბერს.

მოგება ხვდა ანგარიშების შემდეგ ნომრებს

ანგარიშის №	მოგება პროცენტებით ანაბრის საშეკლოო თანხის მიმართ	ანგარიშის №	მოგება პროცენტებით ანაბრის საშეკლოო თანხის მიმართ
31	50%	521	50%
47	100%	563